პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მაჯრ.
დეპ. საბ.
...ჭოს ორგანო

№ 270 პარასკევი, 23 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 1,000,000 მ ნ.

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

მაკდონალდი წერილში მოითხოვს [illegible] ყოვნებლივ ცნობას.

ინგლისის ლიბერალურმა პარტიამ [illegible] გამოაქვეყნა თავისი მანიფესტი.

შვეიცარიის მთავრობამ გადაასახლა [illegible] ლი პოლუნინი.

გერმანიის ამბების დაფასებაში [illegible] საფრანგეთის უთანხმოება.

შტრეზემანის მთავრობას განზრახ [illegible] შეიყვანოს პოლიცია.

გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორისაგან

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

კანტორა აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ პირველ ნოემბრიდან გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია ჩერვონცების ანგარიშით შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში შინ მიტანით 1 მ. 50 კ.
ქალაქს გარეთ მცხოვრებთათვის — — 1 მ. 60 კ.
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოთ მუშებისათვის 1 მ. 20 კ.

ჟურნალ „ნიანგი“-ს ფასები:
თვიურათ ყველასათვის — — 30 კ.
ცალკე ეგზემპლიარი — — — 15 კ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 23 ნოემბერს,
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგი შეიმუშაონ თითონ საუბნო კომიტეტებმა და უჯრედებმა.
ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

რას პირდება პუანკარე გერმანიას

ფრანგული ანდაზა იმის შესახებ, რომ მადა ჭამასთან ერთად ვითარდებაო, ზედგამოჭრილია საფრანგეთის პრემიერზე და მის სულის ჩამდგმელ ამ ქვეყნის მძიმე ინდუსტრიის წარმომადგენლებზე. მას შემდეგ რაც მათ ხელთ იგდეს, რასაკვირველია, „კანონიერათ“ (ვერსალის ხელშეკრულებით საარის მხარე ერთა ლიგის საშუალებით საფრანგეთის სრულ განკარგულებაშია) მდინარე რეინის მემარცხენე ნაწილი, ხოლო წაუპოტინეს მის მარჯვნივ მდებარე ადგილებსაც, უკვე ამ შემთხვევაში უკანონოთ, რადგან რურზე და მის აღმოსავლეთით მდებარე მხარეებზე ხელშეკრულებაში არაფერი არ არის ნახსენები. როდესაც საფრანგეთის იმპერიალისტურმა მხედრობამ მძიმე ქუსლი შესდგა რურზე, ოფიციალურად ამას იმით ამართლებდენ, რომ თითქოს საჭირო იყო ეს ზომა იქ გაგზავნილ ფრანგ ინჟენერების და სხვადასხვა კომისიათა წევრების დასაცავათ. მას შემდეგ, რაც „ხელშეუხლებლობა“ ამ პატიოსანი მოხელეებისა მიღწეული იქნა და ყველა დარწმუნდა, რომ მათი „მოღვაწეობის“ ნორმალური მიმდინარეობა უზრუნველყოფილია, ცხადი შეიქნა, რომ ეს არგუმენტი მოძველდა. საფრანგეთმა შემდეგ განაცხადა, რომ ის იკავებს გერმანიის ტერიტორიას, როგორც გირაოს კონტრიბუციის თავის დროზე მისაღებათ. რურის ოკუპაციას მოჰყვა მთელი სახელმწიფოს ეკონომიურ-ფინანსიური კრახი, რომელიც, ცხადია, ვერ შეუწყობს ხელს კონტრიბუციის გადახდას, მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნეს თვით პუანკარეს ინგლისელმა კოლეგებმა, საფრანგეთის საბოლოო მიზანს მაინცა და მაინც არ შეადგენს გერმანიისაგან კონტრიბუციის მალე მიღება, არამედ პირობების გართულება იმდენათ, რომ ეს მოუხერხებელი გახდეს და მით საბაბი მიეცეს მას გამაგრდეს საბოლოოთ დაკავებულ რაიონებში, დაიკავოს კიდევ ახალი ნაწილები ტერიტორიისა,

ასეთი ზრახვები პუანკარესი არავისათვის აღარ შეადგენდა საიდუმლოებას. მაგრამ უკანასკნელმა მისმა სიტყვამ, წარმოთქმულმა ნეილში ომში დაღუპულ ფრანგ სალდათების ძეგლის გახსნის გამო, გადააჭარბა ყოველივე დღემდე თქმულს ოკუპაციის გასამართლებლათ. მან განაცხადა, რომ საფრანგეთი მანამდი არ დასტოვებს გერმანიის დაკავებულ ოლქებს, სანამ გერმანელები სრულად არ შეასრულებენ ყველა პირობებს ვერსალის ხელშეკრულებისას და სანამ საფრანგეთი არ მიიღებს გარანტიას, **თუ გინდ ერთი რომელიმე სახელმწიფოს თავდასხმისაგან.**

C'est trop fort (ეს მეტის მეტია) — იტყვიან ხოლმე ფრანგები. მართლაც ეს საკმაო, და თვალთმაქცებისათვის უჩვეულო, გულახდილობით არის ნათქვამი. სანამ რომელიმე (ლაპარაკი აღარ არის უკვე მარტო გერმანიაზე) სახელმწიფოსაგან საფრანგეთი მოელის თავდასხმის საფრთხეს, ის მოფუთხნილი იქნება გერმანიის მიწაწყალზე.

სხვა „მოკავშირე“ იმპერიალისტები იმ თავითვე მიუხვდნენ საფრანგეთს ასეთ სურვილებს, რადგან მათ, როგორც „გამოცდილ“ ხალხს, ერთმანეთის ნაბიჯი კარგათ ესმით. სწორეთ ეს გარემოება აყენებს ყალყზე „ბრიტანეთის ლომს“, რადგან მას მოსვენებას არ აძლევს საფრანგეთის გაძლიერების პერსპექტივები კონტინენტზე, რაც აუცილებელია თუ მან გაატარა მთელი პროგრამა გერმანიის მიმართ.

ინგლისის დეპეშათა სააგენტო (რეიტერი) აქვეყნებს ცნობას, რომ მოსალოდნელია კავშირის გაწყვეტა ინგლისისა და საფრანგეთის შორის, თუ ეს უკანასკნელი შეურიგებელი დარჩება გერმანიის მიმართ. ბევრჯერ ყოფილა ლაპარაკი მათ შორის ასეთ კონფლიქტზე, მაგრამ ეს არ გამართლებულა. თუ ეს მოხდა—ეჭვს გარეშეა, რომ ამის ხელის შემწყობი იქნება საფრანგეთის იზოლიაციის ფაქტი დღეს, როდესაც თვით ბელგიელებშიც იწვევს მისი პოლიტიკა უკმაყოფილებას. ამ აზრით ინგლის საფრანგეთის კონფლიქტი მიმდინარეობს დღეს პირველისათვის ბევრათ უკეთეს საერთაშორისო პირობებში, ვინემ დღემდე. სწორეთ ეს გარემოება იწვევს ნერვიულობას პარიზში.

შეუძლებელია დღეს იმის თქმა, ექნება თუ არა ადგილი სულ ახლო მომავალში ამ განხეთქილებას მათ შორის—მაგრამ ცხადია, რომ ჩვენ ვუახლოვდებით იმ დროს, როდესაც ეს უნდა მოხდეს ამა თუ იმ ფორმით, რამდენადაც საფრანგეთის იმპერიალიზმი არ წავა დათმობაზე თავის ინგლისელ მოქიშპის მიმართ.

ცეკავშირის საქმიანობა

II *)

ცეკავშირის პრაქტიკულ საქმიანობაში (ვაჭრობის დარგში) განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული სოფლის მოთხოვნილებას. ვინაიდან ჩვენი ქვეყანა გლეხური ქვეყანაა, ცეკავშირის მოქმედების ქვაკუთხედს შეადგენდა სასოფლო მეურნეობის პროდუქტების შეგროვება და გასაღება, საჭირო ფაბრიკატების მიწოდება და მშრომელი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, საერთოდ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება. გლეხი არის მწარმოებელიც და მომხმარებელიც, მისი ინტერესები მოითხოვს საკუთარი პროდუქტების შესაფერ ფასებში გასაღებას და მის მომარაგებას საჭირო ფაბრიკატებით. ცეკავშირის საქმიანობასაც ეს ორი მთავარი მომენტი ახასიათებს. თვითეულ მათგანს სათანადო ყურადღება ჰქონდა მიქცეული.

ცეკავშირის საერთო სავაჭრო ბრუნვა 1923 წ. იანვრიდან აგვისტომდე იძლევა შემდეგ სურათს: (ჩერ.) იანვარი 1,328—45, თებერვალი 82,731—02, მარტი 54,195—08, აპრილი 91.386—67, მაისი 166,068—69, ივნისი 456,110—86, ივლისი 542,862—98 და აგვისტო 823,349—16 1,394,682—25. ამ ციფრებში არ შედის აბრეშუმის პარკის და სიმინდის ოპერაციები. აბრეშუმის პარკი იყო მიღებული საწყობებში (ჩერვ.) 2,146,500 მანეთის. სიმინდი (329 ფუთი) 279,650 მანეთის.

ეს ციფრები მოწმობენ, რომ ცეკავშირის მდგომარეობა უკეთესდებოდა სისტემატიურად. გაცემული საქონელი ნაწილდება შემდეგნაირად: „ეპო“-სა და რაიონულ კავშირებს უშუალოდ—287,545—45; ცეკავშირის განყოფილებებს გასანაწილებლად—„ეპო“-სა და რაიონულ კავშირებს შორის 998,201—79, კოოპ. ორგანიზაციებს საქართველოს გარეთ—9,688—97, სახელმწიფო ორგანოებს—19,932—74, კერძო პირებს—79,314—13.

როგორც ვხედავთ ყველაზე მეტი საქონელი ცეკავშირს გადაუგზავნია განყოფილებებისათვის (998,201—79). ეს გასაგებიცაა, რადგან ცეკავშირი ცდილობდა საქონელი მიეახლოვებია მომხმარებლისათვის, მყიდველისათვის, რომ სოფლის „ეპო“-ებს არ ერბინათ ტფილისში, მით უმეტეს, რომ „ეპოები“ საქონელს ღებულობენ განყოფილებიდან იმ ფასში, რა ფასშიც იძლევა ცეკავშირი საწყობიდან (ტფილისში). განყოფილება ადებს თავის მხრივ საქონელს მხოლოდ გადასაზიდავ ხარჯებს. მომავალში ეს ციფრი (998,201—79) აუცილებლად გადიდდება პირველი ჯგუფის ხარჯზე, რადგან ცეკავშირს განზრახული აქვს განყოფილებების რიცხვის გამრავლება, რაიკავშირები კი უქმდებიან. მოსალოდნელია აგრეთვე გადიდდეს მესამე ჯგუფი, ვინაიდან ცეკავშირსა და ცენტროკავშირს შორის მჭიდრო კომერციული კავშირი დამყარდა. მათ შორის დადებულია პირობა, რომლის თანახმად ცენტროკავშირმა მიიღო აბრეშუმის პარკი 1,760,000 მან. მიღებული აქვს მატყლი გაზაფხულის. უნდა მიიღოს შემოდგომის მატყლი, თხილი, ხილი, ჩაი და სხვა.

კერძო პირებზე საქონლის გაცემას ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში სულ არ ჰქონია ადგილი. თუმცა კერძოთ ყოველთვის იქნება შემთხვევა საზღვარგარეთ გასატან საქონლის კერძო პირებზე მიყიდვის.

ცეკავშირის მიერ წევრებზე მიყიდული საქონელი ნაწილდება შემდეგნაირად:

მანუფაქტურა—3,200,000 არშინი; ფქვილი—607,000 ფუთი; მარილი—70,000 ფუთი; შაქარი—18,000 ფ.; ქურქელი—150,000 ერთეული; ასანთი—2,500,000 კოლოფი; საპონი—6,000 ფ; ტომარა—80,000 ცალი.

შვიდი თვის განმავლობაში—იანვრიდან—აგვისტომდე (1923 წ.) შემოვიდა ცეკავშირის საწყობებში საქონელი—(ჩერვონ.): იანვარში—4,983—41, თებერვალ.—41,254—17, მარტში—17.309—64; აპრილში—38.382—96; მაისში—281.783—82; ივნისში—379.678—47; ივლისში—411.390—90; სულ 1.174,783 მან. 37 კაპ.

შესყიდული საქონელი მათი შეძენის წყაროების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირათ: საქართ. კოოპერ. ორგანიზაციებისაგან — (ჩერვ.) — 19.861 მან. 97 კაპ.; ცენტროკავშირისაგან—552,426—82; სახელმწიფო ორგანოებისაგან — 567.902 — 90; კერძო პირებისაგან—22.607—33: საკუთარი საწარმოოთაგან—11.984—35. სულ 1.174.783—37.

ამ შემოსულ საქონლის ცხრილში არ არის ნაჩვენები საწყობებში მიღებულ აბრეშუმის პარკი მან.—2 146 500 და სიმინდი—მან. 279.650. აქედან ცხადათ სჩანს, რომ უმთავრესი მიმწოდებელი ცეკავშირისა არიან სახელმწიფო ორგანოები (48,30 პროც.) და ცენტროკავშირი (47,13 პროც.). კერძო პირებისაგან ცეკავშირი იძენდა მხოლოდ ისეთ კოლონიალურ საქონელს, რომელიც არ შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან არც სახელმწიფოს და არც კოოპ. ორგანიზაციებს. ყველა ზემოხსენებული საქონელი გაცემული იქნა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისთან პარალელურად. ძირითადი პრინციპი ასეთი დამზადებისა მდგომარეობდა იმაში, რომ გლეხი—მწარმოებელი დაინტერესებულიყო მისი ნაწარმოების კოოპერატიულად გასაღებით,—ჩაბარების დროს ის ღებულობდა პროდუქტის თითქმის ბაზრის მთელ ღირებულებას, შემდეგ მონაწილეობას იღებდა მოგებაში (50 პროც.) ასეთ ოპერაციების მთელმა რიგმა დაგვანახა, რომ გლეხი ნდობით ეპყრობა კოოპერაციას.

საერთოდ ამ დასამზადებელ ოპერაციებიდან მნიშვნელოვანია მიმდინარე წლის აბრეშუმის პარკის მოსავლის ოპერაცია. ცეკავშირმა პირველად ამ უკანასკნელზე სცადა ზემოხსენებულ დამზადების პრინციპის პრაქტიკულად გამოყენება და მისი საუკეთესო შედეგები ამტკიცებს, რომ იგი უდავოდ მისაღებია და იმავე დროს აკმაყოფილებს მოსახლეობის ინტერესებსაც და აძლევს იმპულსს სასოფლო მეურნეობის სათანადო დარგის განვითარებას.

1923 წლის დასაწყისში ცეკავშირმა დაარიგა 57 ათასი კოლოფი აბრეშუმის თესლი (25 გრამი თითოში), 40 ათასი ფუთი ნედლი პარკის. ჩვენი ორგანიზაციების მიერ შეკრებულია 64 ათასი ფუთი პარკი, რაც პილების გამონაგარიშებით შეადგენს 90 პროც. მთელი მოსავლისას. მთელი მოსავლის ღირებულებას შეადგენს: 1.750.000 მან. (ჩერვ.) რომელი თანხაც შეემატება ჩვენი გლეხის მეურნეობას. ფუთ ნედლ პარკში ომიანობამდის მეაბრეშუმენი ღებულობდენ 14—16 მან. ოქროთი. ცეკავშირმა ამას ცოტა გადააჭარბა და მისცა 16 ნახ. მან. ოქრ., ჩერვონცებით 27 და ერთი მეოთხედი მან. აქედან ჯერჯერობით მიღებული აქვთ ერთი კოლოფი თესლი—4—95 კაპ. სხვადასხვა მანუფაქტურა 13—50 კ., ფულად 1—65 კ. სულ ჩერვ. 20 მან. 10 კაპ. დანარჩენი 7 მან.—15 კ., თუ ნორმალური პირობები დარჩა, უნდა მიეცეთ საქონლით ნოემბერში. მოგებიდან, ნაწილი პარკის რეალიზაციის შემდეგ, დაახლოებით თებერვალში ანუ მარტში.

როგორც ვიცით ცეკავშირმა მიჰყიდა 5 ათასი ფუთი პარკი სახელმწიფო ორგანოებს („ზაკგოსტორგ“) 125 მან. ჩერვ. დანარჩენი გადასცა ცენტროკავშირს და მიიღო ავანსის სახით 110 მან. რომ ვიანგარიშოთ საშუალო ფასი ფუთ გამხმარ აბრეშუმის პარკზე 113 მან. და 75 კაპ., და აქედან გამოვიდეთ დასამზადებელი ხარჯები 17 მან. 90 კაპ., წმინდა შემოსავალი დარჩება 95 მან. 85 კ. მწარმოებელმა მიიღო გამხმარ 1 ფუთ პარკზე—81—75, ესე იგი ცეკავშირს დარჩა წმინდა მოგება 14 მან. 1924 წლისათვის საჭიროა 100 ათასი კოლოფი თესლი—აქედან 75 ათასი კოლოფი გამოწერილია საზღვარგარეთიდან. დანარჩენ 25 ათასს ცეკავშირი იმედოვნებს დაამზადოს ადგილობრივად. მოწყობილია (გორ. მაზ.) 30 ათასი ფუთის ხეაბრეშ. ჰაისათვის; ყოველგან მოწყობილი და შეკეთებულია შენობები პარკის შესანახავად და მის გასახმობად, ხელახლად მოწყობილია პარკის მექანიკური სახმობი ქარხანა, რომელიც 1917 წლიდან შეჩერებული იყო. ამუშავებულია აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა და სხვა.

შემდეგი მსხვილი ოპერაცია არის სიმინდის 1922 წ. მოსავლის შეძენისა და გასაღების საქმე. ჩრდილოეთ კავკასიიდან 1923 წ. დასაწყისში ხორბლისა და ფქვილის შემოზიდვამ გამოიწვია სიმინდის ფასის კატასტროფიული დაცემა. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად აუცილებლად საჭირო იყო სიმინდის ექსპორტი, რისთვისაც ცეკავშირმა მიმდინარე წლის მაისში აიღო 400.000 ფუთი სიმინდის საზღვარგარეთ გატანის ნებართვა, ხოლო ამ რაოდენობის შეძენის სალარი ცეკავშირს არ ჰქონდა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ცეკავშირმა მოახერხა გლეხებისაგან სიმინდის ნისიათ მიღება. სულ შეაგროვა, გაიტანა საზღვარგარეთ და გაყიდა 330 ათასი ფუთი. ამ ოპერაციამ გლეხების მეურნეობას შესძინა 300.000 მან. გარდა ამისა სწარმოებს მატყლის დამზადება (70 ათას ფუთამდე), თხილის (150,000 ფ.), ნატურალური ჩაის (40.000 გირ.), მოცვის ჩაის (5.000 ფ.), თაფლის, ყველის, ირმის და სხვა.

გ. გ.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 268.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

კონსტიტუციის უვარგისობა: ბავარიის სახალხო პარტიამ საიმპერიო რეიხსტაგში შეიტანა წინადადება, რათა გადასინჯული და შესწორებული იქნას გერმანიის კონსტიტუცია.

შტრეზემანის წინააღმდეგ: შტრეზემანის მთავრობამ შეიმუშავა „ზომები“, რომლითაც აპირებს რეიხსტაგში წესრიგის დაცვას: ამ „ზომებით“, კომუნისტები დაშვებულ არ იქნებიან რეიხსტაგის სხდომაზე.

მთავრობას რეიხსტაგში შეჰყავს პოლიცია, რომლის საშუალებით აპირებს წესრიგის აღდგენას.

რეიხსტაგის სხდომაზე სოციალ-დემოკრატებმაც გაილაშქრეს შტრეზემანის წინააღმდეგ.

ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება: გერმანიის ამბებისადმი პოზიციის დაჭერაში მოსალოდნელია ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება.

ელჩთა კონფერენციის სხდომაზე გერმანიის საკითხის გამწვავების გამო, საფრანგეთი იძულებული შეიქნა დაეთმო თავისი პოზიციები.

რა ზომებს მიმართავს მთავრობა

ოპოზიციის შესასუსტებლათ.

ბერლინი. 20 ნოემბ. სოციალ-დემოკრატების ოპოზიციის შესუსტების მიზნით, გერმანიის მთავრობამ უბრძანა მიუნხენის პოლიციის უფროსს დაეპატიმრო ჰიტლერის აჯანყების მონაწილეები და მიმართა ბავარიის მთავრობას წინადადებით დაიწყოს მოლაპარაკება სადავო საკითხების მოსაგვარებლათ.

მთავრობის ზომები.

ბერლინი. 22 ნოემბ. მთავრობამ გამოიმუშავა ზომები იმ შემთხვევისათვის, თუ კომუნისტები განაახლებენ თავიანთ ობსტრუქციებს მთავრობის წინააღმდეგ.

უწინარეს ყოვლისა კომუნისტი რემმელი, რომელიც ყველაზე მეტად ხმაურობდა რეიხსტაგის ჩაშლილ სხდომაზე, არ იქნება დაშვებული რეიხსტაგის მომავალ სხდომაზე.

ღია იქნება მხოლოდ ორი შესავალი რეისხტაგში დეპუტატების შესაშვებად, შესავალს დაიცავენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები.

თუ რემმელი შეეცდება სხდომის დარბაზში შესვლას, მას დააპატიმრებენ და ბრალს დასდებენ სახელმწიფოებრივ ძალაუფლებისადმი დაუმორჩილებლობაში.

თუ სხვა კომუნისტი-დეპუტატები დაარღვევენ წესრიგს, მათ გაიყვანენ რეიხსტაგის სხდომის დარბაზიდან პოლიციელები.

საპოლიციო ოპერაციების წარმოება მიენდო სისხლის სამართლის პოლიციის უფროსს, ვეისს, რომელსაც მიენიჭა მოქმედების სრული თავისუფლება, რათა აიძულოს კომუნისტები დაიცვან მშვიდობიანობა და არ დაარღვიონ სხდომის წესრიგი.

დაბადებულთა რიცხვი შემცირდა.

ბერლინი 22 ნოემბ. გერმანიაში 1923 წლის მესამე მეოთხედში დაბადებულთა რიცხვი უდრის მხოლოდ მშვიდობიანი დროის დაბადებულთა ერთ მეხამედს.

შტრეზემანის წინააღმდეგ

შტრეზემანის პოლიტიკის სასტიკი კრიტიკა.

ბერლინი. 20 ნოემბ. კამათი რეიხსტაგში დაიწყო სოციალ-დემოკრატ ველსის სიტყვით; უკანასკნელმა სასტიკათ გააკრიტიკა შტრეზემანის პოლიტიკა, უმთავრესად, განსაკუთრებულ სამხედრო მდგომარეობის დატოვებისათვის, რეინის პოლიტიკისათვის, ბავარიის წინააღმდეგ ენერგიულ ზომების მიუღებლობისა და საქსონიის და აგრეთვე ტიურინგიის მთავრობების დარბევისათვის. ველსმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატების მხრივ უნდობლობის ვოტუმი გამოირკვევა შტრეზემანის პასუხის შემდეგ.

ნაციონალისტების ლიდერმა გერტმა მოითხოვა შტრეზემანის გადადგომა და ახალი მთავრობის შექმნა „ფართო ნაციონალურ საფუძველზე“.

ტრიბუნაზე შტრეზემანის გამოჩენისას კომუნისტებმა ასტეხეს ძლიერი ხმაურობა. შტრეზემანს არ მისცეს ლაპარაკის საშუალება. რეიხსტაგის თავმჯდომარემ გამოაცხადა მოკლე ხნით შესვენება. მაგრამ სხდომის განახლების შემდეგაც ხმაურობა კომუნისტების სკამებზე კიდევ უფრო გაძლიერდა, რის გამო სხდომა დახურულ იქნა.

შტრეზემანის დაცემა აუცილებელია.

ბერლინი. 20 ნოემბერი. რეიხსტაგის კულუარებში ლაპარაკობენ შტრეზემანის დაცემის აუცილებლობის შესახებ. საერთო აზრი ისეთია, რომ შტრეზემანი ვერ მიიღებს რეიხსტაგში უმრავლესობას. კანდიდატებათ რეიხს-კანცლერის თანამდებობაზე ასახელებენ სახალხო პარტიის წევრს შოლცს, რომელიც ოპოზიციაში უდგას შტრეზემანს და შრომის მინისტრს, ცენტრის პარტიის წევრს,—ბრაუნსს. ცენტრის წრეებში აღნიშნავენ, რომ ცენტრი და დემოკრატები ხმას მისცემენ უნდობლობის ვოტუმის წინააღმდეგ.

კონსტიტუციის უვარგისობა

წინადადება ვეიმარის კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ.

ბერლინი. 22 ნოემბერი. ბავარიის სახალხო პარტიამ შეიტანა საიმპერიო რეიხსტაგში წინადადება გერმანიის კონსტიტუციის იმ მუხლების გადასინჯვის შესახებ, რომლებიც ეხება სხვადასხვა სახელმწიფოების უფლებებს. პარტია წინადადებას იძლევა მიენიჭოს ცალკე სახელმწიფოებს ფინანსების, რკინისგზების, სახალხო განათლების საქმის და საზოგადოებრივ უშიშროების დაცვის გამგეობის უფლება. ყველა ეს უფლებები ეკუთვნის ვეიმარის კონსტიტუციით მხოლოდ და მხოლოდ საიმპერიო მთავრობას.

ახალი გაფიცვის წინ

გერმანიის სილეზიაში მღელვარებაა.

ბერლინი. 20 ნოემბერი. სილეზიის ნახშირის მრეწველობაში მოსალოდნელია გაფიცვა, რადგანაც მწარმოებლებმა უარი სთქვეს სამუშაოს ხელფასის ოქროს ანგარიშით დარიგებაზე. **სილეზიის მთელ რიგ ქალაქებში აღნიშნული აქვს მღელვარებას სიმშილობის ნიადაგზე. ნეისალცში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება პოლიციასთან.**

მთავრობა „მუშაობს“

რეიხსვერის თარეში.

ბერლინი. 20 ნოემ. ტიურინგიის რეიხსვერის სარდალმა გენერალმა გეზემ აკრძალა ტიურინგიის მთავრობის სოციალ-დემოკრატიული ორგანოს გამოცემა.

ტიურინგიის ლანდტაგის ბურჟუაზიულმა ფრაქციებმა მოითხოვეს ლანდტაგის გაშვება და ახალი არჩევნების დანიშვნა.

შავი ძალები

ჩუმათ ოცნებობენ მონარქიაზე.

ბერლინი. 20 ნოემბ. ბავარიის პრესა ოფიციალურად უარყოფს ხმებს იმის შესახებ, თითქოს კარს განზრახული ჰქონდეს მონარქიის გამოცხადება; პრესას მოჰყავს რუპრეხტის წერილი ოფიცრების კავშირებისადმი, რომელშიაც რუპრეხტი მიუთითებს მონარქიის გამოცხადების არათანადროულობაზე.

სახალხო მსაჯულები და ჩვენი სასამართლო

როცა საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა მშვიდობიან შემოქმედებითი მუშაობას, რევოლუციონურ სასამართლოებმა, ტრიბუნალებმა, რომლებიც გამოწვეული იყვნენ ცხოვრებაში რევოლიუციის მომენტების მოთხოვნით, დაჰკარგეს თავის მნიშვნელობა და მათ ალაგზე შემუშავებულ უფლებრივ ნიადაგზე, საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა მთლიანი სასამართლოს აპარატი, სახალხო სასამართლოს, ოლქის სასამართლოს და უზენაეს სასამართლოს სახით.

ახალი სასამართლოს სახით შექმნილია იმისთანა ორგანო, სადაც მკაფიოთ ჩამოყალიბებულია დღევანდელ პირობებში მშრომელი ხალხის კლასობრივი მისწრაფება და სურვილი.

სასამართლოები გადაცემულია მუშათა და გლეხთა ხელში და მათი დღიური შემადგენლობა შევსებულია მშრომელთა ახალი წარმომადგენლებით, საქმის ყოველმხრივ გასაშუქებლათ და ხალხის აზრთან და ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად.

ყოველმა მუშამ და გლეხმა მტკიცეთ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა სასამართლო არის მისი საქმე.

მშრომელმა უნდა იცოდეს, რომ კანონი და მისი გამომხატველი სასამართლო არის სახელმწიფოს წყობილების ერთი საფუძველთაგანი, რომლის სიმტკიცეზე დამყარებულია მისი სიძლიერე და სწორი მუშაობა.

ამიტომ ყველა სახალხო მსაჯული დიდის სიფრთხილით და შეგნებით და ამასთანავე ცხოველი ხალისით უნდა მიდიოდეს სასამართლოში, გამსჭვალული იმ რწმენით, რომ ამით ის ხელს უწყობს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

სასამართლოს წყობილების დებულებით, სახალხო სასამართლოს და ოლქის სასამართლოს შემადგენლობა სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების არსებით განხილვის დროს, განისაზღვრება სამი წევრისაგან, რომლებიც ერთი მუდმივი და ორი სახალხო მსაჯულისაგან შესდგებიან. სახალხო მსაჯული საქმის გარჩევის და გადაწყვეტის დროს სრულუფლებიანი მოსამართლეა, როგორც თვით მუდმივი მოსამართლე, რომელიც მარტო თავმჯდომარეობს სხდომაზე.

ამით ის ირჩევა ძველ ნაფიც მსაჯულისაგან, რომელიც იღებდა მონაწილეობას მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებში და სწყვეტდა მარტო დანაშაულის საკითხს, სასჯელის გამოტანაში კი მონაწილეობას სრულებით არ იღებდა. ახალი სახალხო მსაჯული კი სწყვეტს როგორც დანაშაულობის, აგრეთვე სასჯელის საკითხს. ამაშია მისი განსხვავება და უპირატესობა.

ასეთი უფლებებითაა აღჭურვილი სახალხო მსაჯული და ამიტომ სასამართლოს წყობილების დებულება დიდის დაკვირვებით ექცევა მის ვინაობას. დებულების მე 15 მუხ. აღნიშნულია, რომ სახალხო მსაჯული შეიძლება იყოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა მშრომელი მოქალაქე ორივე სქესისა, რომლებსაც უფლება აქვთ აირჩიონ და თითონაც იქნენ არჩეული საბჭოს წევრად და თუ ის შეზღუდული არ არის არც სასამართლოს განაჩენით და არც საზოგადოებრივი და პროფესიონალური ორგანიზაციების დადგენილებით.

1924 წლისათვის იწყება ახალი მსაჯულთა სიების შედგენა. რესპუბლიკის ყველა კუთხეებში არჩეული არიან კომისიები, რომლებიც მუშაობენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კომისიები დიდის ყურადღებით მოჰკიდებენ საქმეს ხელს და სიაში არ გაატარებენ იმისთანა პირებს, რომლებიც შეადგენენ არამშრომელ, პარაზიტულ ელემენტებს.

საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებმა, ჯარების ერთეულების კომისრებმა, რომლებსაც კანონით ევალებათ მსაჯულთა კანდიდატების სიების შედგენა, მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში და აირჩიონ იმისთანა შეგნებული და პოლიტიკურად მომზადებული პირები, რომლებიც ღირსეულად შეასრულებენ მსაჯულის საპასუხისმგებლო მოვალეობას.

თანახმად სასამართლოს წყობილების დებულების 21 მუხ., ასეთ კანდიდატთა სიები უნდა გამოიკრას ფაბრიკის, თემის აღმასკომის, მუშათა კლუბის და სხვა სადგომებში და ყველა მშრომელს უნდა მიეცეს უფლება ერთი კვირის განმავლობაში ამა თუ იმ კანდიდატის აცილებაზე, მხოლოდ საფუძვლების აღნიშვნით; სიიდან ამოშლილს თავის მხრივ შეუძლია ერთი კვირის ვადაში ეს მოქმედება გაასაჩივროს უმაღლეს ანოლოგიურ დაწესებულებაში. ამ მუხლით საბჭოთა ხელისუფლება მოუწოდებს ყველა მშრომელს, ვისაც გული სტკივა მისი კეთილდღეობისათვის, ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინოს მას სწორი და ღირსეული სიების შედგენაში.

საჭიროა პროფესიონალურ კავშირებში, ფაბრიკებში, ქარხნებში, მუშათა ორგანიზაციებში, თემების აღმასკომებში სისტემატიურად მოეწყოს კრებები და განმარტოს მუშებს და გლეხებს სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი მნიშვნელობა მსაჯულის მოვალეობისა.

ასეთი ფართე აგიტაცია აუცილებლად საჭიროა, რადგან ბევრს კიდევ ვერ შეუგნია მსაჯულის მოვალეობა.

მიუხედავათ იმისა, რომ სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი არსებობს ორ წელიწადზე მეტი, იგი ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. მიზეზი ამისა ის არის, რომ მსაჯულები ხშირად არ ცხადდებიან სასამართლოში. მხარეები, მოწმეები მოდის სასამართლოში 50, 100 ვერსის მანძილიდან და მსაჯულების გამოუცხადებლობის გამო ამაოთ იციდიან დილიდან შუადღის სამ საათამდე. მუდმივი მოსამართლე გაფაციცებით დაეძებს მათ, იწვევს არამორიგ მსაჯულებს; ამისდა მიუხედავათ ხშირად სასამართლოს სხდომა არა სდგება. ასეთი სამწუხარო მოვლენა სახალხო სასამართლოს და ოლქის სასამართლოს პრაქტიკაში არა ერთი და ორია. ეს გარემოება არა მარტო ამცირებს ფართო მასის თვალში მუშურ-გლეხურ სასამართლოს პრესტიჟს, არამედ აყენებს სახელმწიფოს ზარალს, რადგან აუარებელი ხარჯებია საჭირო საქმის დაყენებისათვის, მოწმეების და ექსპერტების გამოწვევისათვის და სხვა, და ამასთანავე ტვირთავს ისედაც დატვირთულ სასამართლოს ზედმეტი საქმეებით. ამას ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო. საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებმა, ჯარის ნაწილების ერთეულების კომისრებმა და დაწესებულებების მეთაურებმა უნდა გაუწიონ დახმარება და თვალყური ადევნონ, რათა გამოწვეული მსაჯულები სწორათ ცხადდებოდენ სასამართლოში. გამორკვეულია, რომ ზოგიერთ დაწესებულებათა უფროსები არ ანთავისუფლებენ მოსამსახურეებს და ხშირად უწყების მიცემის შემდეგ გზავნიან მათ მივლინებაზე.

ამის წინააღმდეგ უნდა იყოს მიღებული სასტიკი ზომები. მოსამართლეს უფლება აქვს, თუ ვინიცობაა მსაჯული არ გამოცხადდა არა პატივსადებ მიზეზის გამო, სახალხო სასამართლოს დებულების მე-20 მუხ. ძალით, დააჯარიმოს ის და იძულებით მუშაობა გადაუწყვიტოს, მაგრამ მოსამართლეები ამ უფლებას არ იყენებენ. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება.

უფრო მძიმე პირობებშია ჩაყენებული მსაჯულთა გამოწვევის საქმე პროვინციებში. გლეხობა, უმეტესად მისი უღარიბესი ნაწილი, ვერ ცხადდება სასამართლოს ცენტრში. ამას ხელს უშლის შეიძლება სამეურნეო საქმეებიც, მაგრამ უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ გასამრჯელოს, მიუხედავად კანონის მოთხოვნილებისა, არ იღებს ღარიბმა გლეხმა უცხო ალაგას, სადაც არავინ ნაცნობი და ნათესავი არა ჰყავს, არ იცის, სად შეინახოს და შეაფაროს თავი. თანახმად სასამართლოს წყობილების დებულების მე 27 მუხლისა, აღმასრულებელ კომიტეტმა უნდა მისცეს მსაჯულებს დღიური ხარჯები. იმედია, რომ მომავალში აღმასკომები დაგვეხმარებიან ამ საქმის გამოსწორებასა და გაჯანსაღებაში და თავის მოვალეობას, კანონით დაკისრებულს, სწორედ შეასრულებენ.

ეჭვი არ არის, რომ მუშა და გლეხი, რომლებმაც ბევრი საფრთხე გადიტანეს და უფრო მძიმე მოვალეობა მედგრად შეასრულეს რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად, მსაჯულის მოვალეობას ასე მცირე დროის განმავლობაში—სულ ექვსი დღე წელიწადში პირნათლად და ღირსეულად შეასრულებენ.

ა. კაჭარავა.

წერილები მოსკოვიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პერსონალური ჯამაგირები და შრომის ხელფასის მაქსიმუმის მოსპობა

საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭომ („СТО“) მიიღო დადგენილება პერსონალური ჯამაგირების და სპეციალური დავალებების ჯილდოს გაცემის შესახებ. დადგენილება ეხება სახელმწიფო და შერეულ სააქციონერო საზოგადოებების ორგანოებში მომუშავეთ. მას მიზნათ აქვს შეიტანოს ერთგვარი მიზანშეწონილობა პერსონალური ჯამაგირების დანიშვნაში და ამით მოსპოს ის ზედმეტი ხარჯები, რომლებსაც დიდი ჯამაგირების უხვათ დანიშვნა იწვევს. ამ დადგენილების გატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ ბოლო დროს სპეცების რიცხვი ძლიერ გამრავლდა. სპეცებათ ნათლავენ ყველას, ვისთვისაც სურთ დიდი ჯამაგირების მიცემა, იმისდა მიუხედავათ არიან ისინი სპეციალური ცოდნით აღჭურვილნი თუ არა. ყველაზე უფრო ბოროტათ იყენებენ სპეცის სახელწოდებას სამეურნეო ორგანოებში (ტრესტებში, სავაჭრო ორგანოებში, ბანკებში). იქ მომუშავე მოსამსახურეთა რიცხვის 50—60 პროც. სპეცებათ ითვლებიან. ხშირია შემთხვევები, როცა უბრალო მონაგარიშე და კანტორის მოხელე სპეცების რიცხვში არიან მოქცეულნი და პერსონალურ ჯამაგირს იღებენ, როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის მომუშავენი.

აქამდი არსებული წესით, დაწესებულების ხელმძღვანელი თვით უნიშნავდა პერსონალურ ჯამაგირს ამა თუ იმ მოსამსახურეს შრომის ხელფასის სახელმწიფო მაქსიმუმის ფარგლებში. არ იყო განსაზღვრული, თუ ამ ორგანოს საერთო სამუშაო ხელფასის თანხების რამდენი ნაწილი შეიძლებოდა დახარჯული ყოფილიყო პერსონალურ ჯამაგირებზე და რაიმე განსაკუთრებულ სამუშაოს დასაჯილდოებლათ. ეს კი თავისუფლებას აძლევდა დაწესებულების ხელმძღვანელს სპეცების რიცხვის განსაზღვრაში. ამიტომ თითქმის ყველგან „სპეცების“ რიცხვი მოსამსახურეთა საერთო რიცხვთან შედარებით ფრიად დიდია.

ახალი წესის შემოღება ბოლოს უღებს იმ თვითნებობას პერსონალური ჯამაგირების დანიშვნაში, რომელსაც აქამდე ჰქონდა ადგილი. თვითეულ ორგანოსათვის (სახელმწიფოს და შერეულ სააქციონერო საზოგადოებების, სახელმწიფო კაპიტალის გადამეტებით) წესდება განსაზღვრული ფონდი სპეცების ჯამაგირებისათვის. ფონდი წარმოადგენს ამ დარგში არსებულ სამუშაო ხელფასის თანხების განსაზღვრულ პროცენტს. თუ რამდენი უნდა იყოს ის კერძოთ თვითეულ დაწესებულებაწარმოებისათვის, ამას აწესებს შრომის კომისარიატთან არსებული კომისია, სადაც შედიან შრომის, ფინანსთა და გზათა კომისარიატების, სამეურნეო საბჭოსა და პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები. თვით პერსონალური ჯამაგირების დანიშვნა რჩება ორგანოს ხელმძღვანელის უფლებაში, მაგრამ ფონდის იმ ფარგლებში, რომელიც ამ ორგანოსათვის არის მიღებული. ამით დაწესებულების ხელმძღვანელი იძულებული იქნება პერსონალური ჯამაგირები დაუნიშნოს მხოლოდ უმაღლეს კვალიფიკაციის მომუშავეთ და არა ფიქტიურ სპეცებს. თვითეული ინდივიდუალური ხელშეკრულება, უმაღლეს კვალიფიკაციის მომუშავეებთან დადებული, უნდა გატარდეს შრომის კომისარიატის ორგანოების რეგისტრაციაში.

ამ წესის მიღებით ისპობა შრომის ხელფასის მაქსიმუმი, რომელიც არსებობდა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებათა მომუშავეების ჯამაგირების განსასაზღვრავათ.

ხ. გ.

მოსკოვი, 15 ნოემბერი.

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება

განხეთქილების შესაძლებლობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

პარიზი. 20 ნოემბერი. პუანკარემ ნეილიში წარმოსთქვა ჩვეულებრივი სიტყვა, რომელშიაც კვლავ ხაზი გაუსვა იმას, რომ **ვერსალის ხელშეკრულება უნდა იქნეს შესრულებული, რომ საფრანგეთი არ დასტოვებს დაკავებულ ოლქებს, თუ გერმანია არ დაემორჩილება მოთხოვნილებებს სამხედრო კონტროლის განახლებისა და კრონპრინცის გამგზავრების შესახებ.**

პუანკარეს გამოსვლის გამო, გამოქვეყნებულია რეიტერის ოფიციალური ცნობა, რომელიც აღნიშნავს **განხეთქილების შესაძლებლობას ინგლისსა და საფრანგეთს შორის,** თუ საფრანგეთი არ შესცვლის შეურიგებელ პოზიციას. ამ ცნობამ ძლიერ შეაშფოთა საფრანგეთის ბურჟუაზიული წრეები. გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ დაქირავებული პრესა მხარს უჭერს პუანკარეს თვალსაზრისს. რადიკალური პრესა, პირიქით, სასტიკათ აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას და ხაზს უსვამს ანტანტის გათიშვის საფრთხეს. კაპიტალისტური პრესა მოითხოვს ინგლისთან თანამშრომლობის აუცილებლობას.

ელჩთა კონფერენცია.

პარიზი. 20 ნოემბერი. ელჩთა კონფერენციის ორშაბათის სხდომამ ძლიერ მღელვარე ხასიათი მიიღო. საფრანგეთის წარმომადგენლები წავიდნენ სერიოზულ დათმობებზე და, როგორც სჩანს, უარი სთქვეს ახალ სანქციებზე გერმანიის მიმართ.

დაპყრობილ ოლქებში

ფრანგები მოითხოვენ რკინის გზებზე თავის ვალიუტის შემოღებას.

ბერლინი. 22 ნოემბ. **საოკუპაციო ხელისუფლები დაჟინებით მოითხოვენ, რათა ამიერიდან რკინისგზებზე ყოველგვარი გადასახადები შეტანილ იქნას ფრანგული ან ბელგიის ვალიუტით.**

მთავრობის თანხმობით.

ბერლინი. 20 ნოემბერი. რურის პროფკავშირებმა გაილაშქრეს სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ. გერმანიის შრომის სამინისტრომ ამ საკითხის გამო თათბირზე მიიწვია მუშების და მწარმოებლების წარმომადგენლები, მაგრამ მწარმოებლები არ გამოცხადდენ.

დაკავებულ ოლქების მთელ რიგ ქალაქებში მუნიციპალიტეტებმა დაადგინეს მისცენ დახმარება უმუშევრებს და ამავე დროს შესწყვიტონ გადასახადების მიწოდება გერმანიის მთავრობისათვის. სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია უკანასკნელის თანხმობით.

საკონტრიბუციო საკითხის გარშემო

ბელგიის პოზიცია.

პარიზი. 22 ნოემბ. ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჟასპარმა, სამშაბათს პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ბელგიის მთავრობა მტკიცეთ იცავს თავის პოზიციას საკონტრიბუციო და ქვეყნის დაცვის საკითხებში. ჟასპარმა სთქვა: „საკონტრიბუციო საკითხში ბელგია ვერავითარ დათმობაზე ვერ წავა. ქვეყნის დაცვის საკითხშიც ჩვენთვის შეუძლებელია დათმობაზე და შერიგებაზე წასვლა“.

ელჩთა კონფერენციის ნოტა.

ლონდონი, 22 ნოემბ. ელჩთა კონფერენციამ გუშინ მიიღო ორი ნოტა, რომელნიც გაეგზავნა გერმანიის მთავრობას.

პირველ ნოტაში ლაპარაკია მოკავშირე მთავრობების გადაწყვეტილების შესახებ, რომლის ძალითაც ყოველგვარ პირობების გარეშე განახლებულ უნდა იქნეს დაუყონებლივ კონტროლი გერმანიის შეიარაღებულ ძალებსა და საჰაერო მიმოსვლაზე. თუ გერმანიის ხელისუფლება ხელს შეუშლის ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას, მაშინ მოკავშირეები იტოვებენ უფლებას მიიღონ ისეთი ზომები, რომელნიც უზრუნველყოფენ ხელშეკრულების შესრულებას გერმანიის მიერ.

მეორე ნოტაში მოკავშირეები გერმანიის მთავრობას აკისრებენ პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ კრონპრინცმა შეასრულოს თავისი დაპირება მეფისა და იმპერატორის უფლებებზე უარის თქმის შესახებ.

გერმანიის დელეგაციის გამგზავრება.

პარიზი. 22 ნოემბ. ორშაბათს ბერლინიდან პარიზში გაემგზავრა გერმანიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ფიშერი; კომისიამ პარასკევს მოხსენება უნდა გაუკეთოს საკონტრიბუციო კომისიას გერმანიის ეხლანდელ რესურსებისა და გადახდის უნარიანობის შესახებ.

პოლონეთის ამბები

კრაკოვის გმირების დაცვა.

ვარშავა. 20 ნოემბერი. სეიმის კომისიამ უარი უთხრა პროკურატურას შუამდგომლობაზე პოლონეთის სოციალისტურ პარტიის დეპუტატების მარკოს, ბობროვსკის და სტანჩიკის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელთაც ბრალად ედებათ კრაკოვის აჯანყებაში მონაწილეობის მიღება.

საქმე ჯაშუშობის შესახებ.

ვარშავა. 20 ნოემბერი. დაიწყო პოლონელ აფიცრების მაჩინსკის და კეჩერკევიჩის საქმის განხილვა; ხსენებულ აფიცრებს ბრალდებათ ჯაშუშობა. ამავე დროს კრაკოვში აღმოჩენილი იქნა ჯაშუშთა ახალი ორგანიზაცია პოლონეთის აფიცრებს შორის. კრაკოვსა და სხვა ქალაქებში სწარმოებს აფიცრების დაპატიმრება, რომელთაც ბრალდებათ ამ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება.

სამხედრო ბიუჯეტის გადიდება.

ვარშავა. 20 ნოემბერი. პრეზიდენტმა ვოიცეხოვსკიმ წარადგინა პროექტი სამხედრო ბიუჯეტის 10 პროცენტით გადიდების შესახებ. ამავე დროს სამხედრო მინისტრი შეპტიცკი მოითხოვს სამხედრო ბიუჯეტის 35 პროცენტით გადიდებას. ამის გამო შეპტიცკის გადადგომის საკითხი ღიად რჩება.

კრაკოველ მეამბოხეთა დაპატიმრება.

ვარშავა. 20 ნოემბერი. საგამომძიებლო ხელისუფლებამ დააპატიმრეს კრაკოვის აჯანყებაში მონაწილეობისათვის 27 მუშა და 8 აფიცერი, რომელნიც მეთაურობდენ სამხედრო ნაწილებს.

შესაძლებელია ახალი გაფიცვა.

ვარშავა. 20 ნოემბერი. **დომბროვის რაიონის მუშებმა მოითხოვეს ხელფასის 90 პროცენტით გადიდება. მწარმოებლები დასთანხმდენ მხოლოდ 20 პროცენტით გადიდებაზე. შესაძლებელია ახალი გაფიცვა.**

ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა.

ვარშავა. 20 ნოემბერი. შინაგან საქმეთა მინისტრმა უარი განუცხადა სეიმთან არსებულ უკრაინის კლუბის სოციალისტურ პარტიას ლუცკში უკრაინის სოციალისტურ კონგრესის მოწვევაზე. ამ კონგრესის მიზანია უკრაინის სოციალისტურ ჯგუფების ორგანიზაციული გაერთიანება. სეიმის უკრაინულ სოციალისტურ ფრაქციის 7 დეპუტატს განზრახული აქვთ სეიმის უკრაინის კლუბის შემადგენლობიდან გამოსვლა და საკუთარი კლუბის დაარსება.

საბჭოთა ძალა-უფლება უფრო საიმედოა.

ვარშავა. 20 ნოემბერი. ტიუტიუნიკის საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადასვლის გამო, უკრაინის სამხედრო ემიგრაციის შორის შემჩნეულია ძლიერი ლტოლვა საბჭოთა უკრაინაში დაბრუნებისაკენ. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში ცხადდებიან პეტლიურას არმიის უმაღლესი სამხედრო პირები, რომელნიც ითხოვენ უკრაინაში შესვლის ნებართვას. ამას წინად წარმომადგენლობაში გამოცხადდენ გენერალი ნიკონოვი და სერედა.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

საღი გონიერება ს. ს. რ. კავშირის ცნობას მოითხოვს.

ლონდონი 20 ნოემბერი. მაკდონალდი თავის წერილში, რომელშიაც იგი არჩევს მუშათა მთავრობის პოლიტიკას რუსეთის საკითხში, სწერს: **„მუშათა მთავრობამ აუცილებლათ უნდა იცნოს საბჭოთა მთავრობა და დაუყონებლივ მიიღოს ზომები მოსკოვთან უშუალო მოლაპარაკების გზით რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულებების განახლებისათვის.“** მაკდონალდის აზრით, მთავრობის უდიდესი ბოროტმოქმედება მდგომარეობს ბოიკოტში მოსკოვის მთავრობასა და შორეულ აღმოსავლეთის მიმართ. **საბჭოთა მთავრობის მდგომარეობა მტკიცეა.** რუსეთი ევროპიულ სახელმწიფოთა ჯგუფის წევრია. იგი განუყოფელია ევროპისაგან როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურადაც. რუსეთს დიდი ძალა და სიმდიდრე აქვს. მას შეუძლია არარად აქციოს ყველა ის ხელშეკრულება-შეთანხმებები, რომლებსაც იგი არ ეთანხმება.

მუშათა მთავრობა არ შეიწყნარებს დაცინვას და მტრულ დამოკიდებულებას ს. ს. რ. კავშირის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან.

იგი დაიცავს რუსეთის წარმომადგენლებს ისეთ თავდასხმებისაგან, რომლებსაც ეხლა რაკოვსკიზე ახდენენ.

„რუსეთის მიმართ,—ათავებს მაკდონალდი,—ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ საღი გონების პოლიტიკას“.

ინგლის რუსეთის ვაჭრობის კოლოსალური პერსპექტივები.

ლონდონი. 20 ნოემბ. „როსტა“-ს კორესპონდენტი, რომელიც გაეცნო რუსეთში მოგზაურობიდან ჩამოსულ „ბეკოს“-ის სამრეწველო ჯგუფის მოხსენების დედანს, იუწყება, რომ მოხსენება გამოხატავს მისიის ყველა წევრთა საერთო რწმენას კოლოსალურ ნაყოფიერებაში, რომელიც შეიძლება გამოღებულ იქნეს ინგლის-რუსეთის ვაჭრობიდან.

მოხსენება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **„რუსეთის ხალხი არა თუ სცნობს საბჭოთა მთავრობას, არამედ კმაყოფილებითაც ხვდება მის ღონისძიებებს“.** რუსეთის ექსპორტი ამჟამად სჭარბობს იმპორტს და მთავრობა არავითარ გადახრას არ აპირებს ექსპორტ-იმპორტის ამ დამოკიდებულებაში. იმპორტის სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ შესაძლებელი იქნება რუსეთისათვის გატანილ საგნების ანგარიშზე შემოტანილ საგანთა ფასის გადახდა და ამიტომ რუსეთს სესხი სჭირია.

მოხსენებაში აღნიშნულია, აგრეთვე, საბჭოთა რესპუბლიკების ფინანსიურ მდგომარეობის განმტკიცება, მუშაობა, რომელიც სწარმოებს ბიუჯეტის წონასწორობის აღდგენისათვის, საბჭოთა საგადასახადო სისტემა, ჩერვონეცის კურსის სიმტკიცე და საერთო პირობების გაუმჯობესება.

რუსეთის მთავარ დაბრკოლებას სესხის უქონლობა წარმოადგენს. დელეგაცია დარწმუნებულია, რომ თუ საბჭოთა მთავრობა მიიღებს თავისი მრეწველობის სწრაფი განვითარების გარანტიას, იგი იცნობს ყველა თავის ვალდებულებებს უცხოელთა მიმართ, იგი დანიშნავს ამ ვალდებულებათა ლიკვიდაციის ვადას და ყოველივე ეჭვის გარეშეა, რომ შესძლებს კიდეც ვალების გადახდას.

ინგლისი ახალი არჩევნების წინ

ლიბერალების საარჩევნო მანიფესტი.

ლონდონი. 20 ნოემბ. ლიბერალურ პარტიის მიერ გამოქვეყნებული საარჩევნო მანიფესტი კიცხავს მთავრობის საგარეო პოლიტიკას, მისი პროტექციონისტულ ტენდენციებს და მუშათა პარტიის წინადადებას ახალ გადასახადის შემოღების შესახებ. დანარჩენ საკითხებში ლიბერალების პროგრამა მუშათა პარტიის მანიფესტს ემზგავსება. მუშათა პარტიის მზგავსათ ლიბერალები მოითხოვენ საზოგადოებრივ აღმშენებლობის გაფართოებას, სოციალურ დაზღვევის რეორგანიზაციას, სქესთა პოლიტიკურ და კულტურულ გათანასწორებას, კრედიტების გაღებას სასოფლო-მეურნეობისათვის, საბინაო აღმშენებლობის გაფართოებას და სპირტიან სასმელებზე კონტროლის დაწესებას. საგარეო პოლიტიკის დარგში ლიბერალები საჭიროთ სთვლიან ერთა ლიგისათვის დახმარების გაწევას და ევროპის ეკონომიურ აღორძინებას, როგორც მსოფლიო მრეწველობის აღდგენის აუცილებელ პირობას. ლიბერალები აღნიშნავენ, რომ ისინი მზათ არიან მხარი დაუჭირონ რუსეთთან დამოკიდებულების განახლებას.

თითქოს ლიბერალთა მანიფესტის საპასუხოთ, ბალდვინმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლია ევროპის საკითხების ლიკვიდაციას უცადოთ. ჩვენ იძულებული ვართ ჯერ საკუთარ თავზე ვიზრუნოთ. ჩვენი მრეწველობა ზარალს განიცდის სხვა ქვეყნებისაგან, რომლებმაც კარი ჩაიკეტეს პროტექციონისტულ ტარიფებით“.

კომუნისტური ჟურნალის რედაქტორი—კანდიდატი.

ლონდონი. 20 ნოემბ. **ინგლისის კომუნისტებმა საყოველთაო არჩევნებზე თავის კანდიდატთა შორის წამოაყენეს კომუნისტურ ჟურნალის „კომუნისტ რევიუ“-ს რედაქტორი ვილიამ პაული, რომელიც მუშათა პარტიის სახელით გამოდის მანჩესტერის ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში.**

მუშათა პარტიის სახელის გასატეხად.

ლონდონი. 20 ნოემ. მუშათა პარტიისათვის სახელის გატეხის მიზნით, „მორნინგ პოსტ“-ი, ათავსებს რა მეორე ინტერნაციონალის წესდებას, ამტკიცებს, რომ ინგლისის მუშათა პარტია იმყოფება „უცხოელი ხროვის“ ხელში და საჭირო დროს, იძულებული იქნება მხარი დაუჭიროს უცხოეთის სახელმწიფოს ინგლისის წინააღმდეგ.

ლოზანას პროცესის გამოძახილი

მიდგომით გამოტანილი განაჩენი

ლონდონი, 20 ნოემბერი. რეაქციონური გაზ. „მორნინგ პოსტი“ სარგებლობს ლოზანას პროცესის დასრულებით საბჭოთა რუსეთზე თავდასხმისათვის. გაზეთი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ვოროვსკის მკვლელის გამართლების განაჩენი მოწმობს, რომ კეთილსინდისიერი შვეიცარიელები სიძულვილით არიან განწყობილნი საბჭოთა რუსეთისადმი.

ლიბერალური გაზეთი „ვესტმინსტერ-გაზეტტი“ სწერს: „ძნელია შვეიცარიას მივულოცოთ კონრადის გასამართლების სასურველი შედეგი. კონრადის სრული გამართლება არ შეძლება ჩაითვალოს მიუდგომელი გამოძიების შედეგად“.

პოლუნინის შვეიცარიიდან გადასახლება.

პარიზი 20 ნოემბერი. შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ დაადგინა გადასახლებულ იქნას შვეიცარიიდან ვოროვსკის მკვლელობაში მონაწილე პოლუნინი.

მდგომარეობა იაპონიაში

ჩვეულებრივი ბურჟუაზიული კომედია.

ტოკიო. 20 ნოემბერი. ჟანდარმერიის ოფიცრის იამაკასუს პროცესი ღებულობს ჩვეულებრივი კომედიის ხასიათს. იამაკასუმ ვრცლად ილაპარაკა „გამრყვნელ იდეებზე“, რომელიც შემოდის იაპონიაში უცხოეთიდან. იამოკასუს დამცველმა წარუდგინა სასამართლოს დოკუმენტები, რომლებიც თითქოს, აღმოჩენილ იქნენ ხუთმეტ ოქტომბერს და ამტკიცებენ ბოროტგანზრახვებს კორეიელებისას, რომლებიც მჭიდრო კავშირში იყვნენ სოციალისტ ოსუგი საკაისთან. სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, რატომ ოსუგი საკაი არ იქნა დაპატიმრებული მიწისძვრის დროს, იამაკასუმ განაცხადა, რომ ოსუგის ურთიერთობა ჰქონდა გოტოსთან, რომელიც მას აწოდებდა ფულებს.

გაერთიანებულ მუშურ-გლეხური პარტიის პროექტი.

ტოკიო. 20 ნოემბ. ოსაკაში გაფიცვების ტალღა მოედო მთელ რიგ წარმოებებს, მათ შორის ძლიერ მნიშვნელოვან საფეიქრო ფაბრიკას უმაცუსკის და ენუჯინავის გემების სააღმშენებლო ვერფებს. შრომის გენერალური ფედერაცია აქტიურ დახმარებას უწევს საგაფიცვო მოძრაობას. დღეს ოსაკაში შესდგება საპროტესტო მიტინგი, რომელსაც მართავს იაპონიის შრომის გენერალური ფედერაცია მთავრობის წარმოებათა მუშების თანადასწრებით, კორეიაში მომხდარ მასიურ მკვლელობის გამო.

გუშინ შესდგა იაპონიის შრომის გენერალური ფედერაციის ცეკას თათბირი. ირჩეოდა საკითხი გაერთიანებულ მუშურ გლეხურ პარტიის შექმნის შესახებ, რომელშიაც შევა 35,000 წევრი.

სხვადასხვა

საფრანგეთი

სამხედრო დისციპლინის დარღვევისაკენ მოწოდებისათვის.

პარიზი. 20 ნოემ. კომუნისტი დეპუტატი მარუჩი პასუხისგებაშია მიცემული გაზეთ „კონევრი“-ში მოთავსებულ წერილებისათვის. მას ბრალათ სდებენ სამხედრო დისციპლინის დარღვევისაკენ მოწოდებას.

საფრანგეთის კომკავშირის ზრდა.

პარიზი. 20 ნოემბ. პარიზში შესდგა ახალგაზრდათა კომკავშირის სენის, სენა-მარნის და სენა-უაზის ორგანიზაციების ყრილობა. ყრილობამ აღნიშნა ორგანიზაციის ზრდა და ახალგაზრდათა შორის მუშაობის გაძლიერება.

ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა გერმანიის ახალგაზრდათა კომკავშირის წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა, რომ გერმანიის კომუნისტები ამზადებენ მუშათა მასებს მომავალ ბრძოლისათვის და ხაზი გაუსვა საფრანგეთის ახალგაზრდა ჯარისკაცთა შორის მუშაობის მნიშვნელობას.

მთელი პასუხისმგებლობა—შემთანხმებლებზეა

პარიზი 20 ნოემბერი. საფრანგეთის სამთომადნო მუშა-უნიტარისტების კონგრესმა დაადგინა განაახლოს სამშაბათს მუშაობა თუ სამთამადნო მუშა-რეფორმისტები ორშაბათს არ მიემხრობიან გაფიცვას. მთელი პასუხისმგებლობა გაფიცვის ჩაშლისათვის შემთანხმებლებს ეკისრება.

იტალია

ინგლის-იტალიის დაახლოვება.

ბერლინი. 21 ნოემბერი. რომის პოლიტიკურ წრეებში დიდ ყურადღებას აქცევენ ხმებს იტალია-ინგლისის დაახლოვების შესახებ.

ოსმალეთი

რკინისგზელების გაფიცვა.

ანგორა. 20 ნოემბ. ადრიანოპოლ-სტამბოლის ხაზის რკინისგზელებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ს. ს. რ. კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის პრესის განყოფილების განმარტება ამხ. ელიავას სიტყვის გამო.

მოსკოვი. 22 ნოემბერი. ერთ-ერთ ქართულ გაზეთში მოთავსებულ ცნობის გამო, რომ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ელიავას თითქოს განეცხადებინოს აჭარისტანის ოსმალურ ნაწილის საქართველოსთან შეერთების საჭიროების შესახებ, - ამხ. ელიავამ მიანდო ს. ს. რ. კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის პრესის განყოფილებას ამ ცნობის უარყოფა, რადგან იგი გამოწვეულია ამხ. ელიავას მიერ გამოთქმულ აზრის არა სწორ გაგებით, სახელდობრ, იმ აზრის, რომ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე და, უმთავრესად, მის განაპირა ადგილებში მცხოვრებ მცირე ერთა შორის უნდა იყოს სამაგალითო და გარეშე ქვეყნისათვისაც მისაბაძი, როგორც მაგალითად, ამხ. ელიავამ აღნიშნა ჩვენი მუშაობა აჭარისტანში.

შეფობა გერმანიის პროლეტარულ რაზმებზე.

ივანოვო-ვოზნესენსკი. 22 ნოემბ. ამ. ფრუნზეს სახელობის [illegible] ქარხნის მუშებმა მიიღეს შეფობა გერმანიის პროლეტარულ რაზმებზე, რომელთა სასარგებლოთ გადადვეს ყოველთვიური ხელფასის ერთი მეოთხედი პროც.

ფართლეულის მოთხოვნილება.

მოსკოვი. 22 ნოემ. ფართლეულის მოთხოვნილება გაიზარდა ეკატერინბურგსა და ყაზანში, სადაც პური თანდათან ძვირდება; აგრეთვე გაიზარდა მოთხოვნილება კიევში, სადაც ფასებმა იმატა პურზე და ქონეულობაზე და სემიპალატინსკში, სადაც საქლავი საქონელი 40—50 პროცენტით გაძვირდა.

დახმარება მცირე მიწიან და ხელმოკლე მეურნეობას.

მოსკოვი. 22 ნოემ. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულმა, სასოფლო-მეურნეობის დამხმარე კომიტეტის განსაკუთრებულმა სექციამ დაადგინა, რომ მთელი თავისი თანხა 3-ნახ. მილიონი მან. ოქროთი,—სავსებით მოახმაროს მცირე მიწის პატრონ და ხელმოკლე მეურნეობას. დადგენილია საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის გადაიდოს 1-ნახ. მილ. ფუთი ხორბალის შესაძენად, 800,000 მან. მუშა საქონლისა და სასოფლო მეურნეობის ინვენტარისათვის, ფერგანის დამშეულთათვის—750,000 მ., დაღესტნის ლტოლვილთა დასასახლებლად ოქტომბრის რევოლიუციის არხის მიდამოებში—20,000 მან., ყირიმში საზოგადო სამუშაოთა მოსაწყობად—130,000 მ. ოქროთი.

უკრაინის სპარტაკელები გერმანიის ბავშვებს.

მოსკოვი. 22 ნოემბერი. უკრაინის ახალგაზრდა სპარტაკელებისაგან ახალგაზრდობის კომპარტიამ მიიღო გერმანიის ბავშვებისათვის შეგროვილი 20 დოლარი.

სავოლოსტო აღმასრულებელ კომიტეტის ხელახალი არჩევნები.

ასტრახანი. 22 ნოემ. სავოლოსტო აღმასრულებელ კომიტეტებში ხელახალი არჩევნების დროს, არჩეულ იქნა 90 პროცენტი კომუნისტებისა.

ტყავის გაიაფება.

ვიტებსკი. 22 ნოემ. ტყავის ტრესტმა 20 პროცენტით გაიაფა ტყავეულობა.

აგურის ქარხნების გადაცემა კომუნალურ განყოფილებებისათვის.

მოსკოვი. 22 ნოემ. სახელმწიფო გეგმათა სამართველომ შესაძლებლათ სცნო ჩამოერთვას საგუბერნიო სახალხო მეურნეობის საბჭოებს ადგილობრივი მნიშვნელობის აგურის ქარხნები და გადაეცეს ისინი კომუნალურ განყოფილებებს.

ბანკნოტების ოპერაციების შესახებ.

მოსკოვი. 22 ნოემ. საბირჟო ვაჭრობის ყრილობის ბიუროს პლენუმმა აუცილებლათ სცნო ნებადართულ იქნეს ბანკნოტების ოპერაციების წარმოება იმ ბირჟებზე, რომელთაც არა აქვთ საფონდო განყოფილებები, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ არ ექნებათ საკუთარი კოტიროვკა.

მარქსის და ენგელსის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

მოსკოვი. 22 ნოემბერს. ამხ. რიაზანოვმა მოხსენებაში, რომელიც გააკეთა მან სოციალისტურ აკადემიის სხდომაზე, აღნიშნა, რომ მარქსის და ენგელსის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც ინახება ცნობილ რევიზიონისტ ბერნშტეინთან, იყოფა სამ ჯგუფათ: 1) მარქსის ფილოსოფიური ნაწერები 1848 წლამდის, 2) ნაწერები ეკონომიურ საკითხების შესახებ 1848 წლის რევოლიუციის შემდეგ და 3) მარქსის და ენგელსის რვეულები და წერილები.

ფოტოგრაფიის საშუალებით გადაღებულია მარქსის და ენგელსის წერილების 95 პროც.; გადაღებულია აგრეთვე ენგელსის წერილები კაუტსკისა და ბერნშტეინისადმი. ამხ. რიაზანოვის მიერ აღმოჩენილი ყველა მასალები გადაცემულია დასაბეჭდათ.

ამხ. კრასინის ჩამოსვლა.

მოსკოვი. 22 ნოემბერი. ორი თვის შვებულებიდან დაბრუნდა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. კრასინი, რომელმაც ინახულა დანია, ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია. მასთან ერთად ჩამოვიდა ს. ს. რ. კ. სავაჭრო წარმომადგენელი. გერმანიაში, ამხ. ტუროვი.

ბამბის გამწმენდი ქარხანა.

ტაშკენტი. 22 ნოემბერი. მარგელანში აამუშავეს ორი ბამბის გამწმენდი ქარხანა.

უკრაინა

ხარკოვის ქალაქის საბჭოს შემადგენლობა.

ხარკოვი. 22 ნოემ. ექვსი დღის განმავლობაში ქალაქის საბჭოში არჩეულია 146 დეპუტატი, რომელთაგან 99 კომუნისტია, 43 უპარტიო და 4 ახალგაზრდათა კომკავშირის წევრი.

ღარიბთა წარმომადგენლები შეადგენენ 60 პროცენტს.

კიევი. 22 ნოემ. კიევის ოლქში დამთავრდა სოფლის საბჭოების არჩევნები; არჩეულია 20,000 დეპუტატი, რომელთაგან 60 პროცენტს შეადგენენ ღარიბეს გლეხთა წარმომადგენლები. პოდოლიაში სოფლის საბჭოებში არჩეულია 22,000 დეპუტატი, რომელთაგან 15,000 ღარიბეს გლეხებია და 1,100 კომუნისტები. ეკატერინოსლავის გუბერნიაში სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებათ არჩეულნი არიან მხოლოდ კომუნისტები.

დროა განვიმეოროთ

„იზვესტია“-ს წერილი

მოსკოვი. 22 ნოემბ გაზეთ „იზვესტია“-ში ამხ. სტეკლოვი სწერს:

„პარტიულ საკითხების შესახებ წარმოებულ დისკუსიის გამო, რომელიც შედეგათ მოყვა ამხ. ზინოვიევის წერილს, ისმება საკითხი, რატომ არ უნდა მოვიწვიოთ ჩვენ კომპარტიის რიგებში ის უპარტიო პროლეტარები, რომელნიც პოლიტიკურ განვითარების მხრივ არ ჩამოუვარდებიან პარტიულ ამხანაგებს, და აგრეთვე სხვა უპარტიო მუშები, რომელნიც არსებითად სდგანან ჩვენს პოზიციაზე? ფართო მშრომელ მასების სიმპატიებისა და ნდობის გაშინჯვა, რომელიც გავატარეთ ჩვენ 1919 წელში—მეტათ მძიმე მომენტში, დიდის წარმატებით დამთავრდა. რატომ არ უნდა მოვახდინოთ ჩვენ ასეთი გაშინჯვა საბჭოთა რესპუბლიკის უდიდეს საგარეო და საშინაო გამარჯვებების მომენტში?

ჩვენ ვდგევართ ახალ სერიოზულ ამბების შესაძლებლობის წინაშე. ყველამ იცის იმ ეკონომიურ კრიზისის შესახებ, რომელიც თავს დაატყდა საბჭოთა ფედერაციას. ორი წლის დასვენების განმავლობაში რესპუბლიკამ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ საერთოდ გაამართლა თავისი თავი: მან ასწია ქვეყნის ნაყოფიერება და გააუმჯობესა მუშების მდგომარეობა. მტრულათ განწყობილმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა აშკარათ აღიარეს თავისი გაკოტრება. მტრებიც კი აღნიშნავენ იმას, რომ საბჭოთა ფედერაციის მდგომარეობა გამტკიცდა. ბუნებრივათ იბადება აზრი იმის შესახებ, რომ გატარებულ იქნეს მშრომელ მასების სიმპატიებისა და ნდობის ახალი გაშინჯვა; საჭიროა გამოირკვეს ამ მასების დამოკიდებულება კომპარტიისადმი, რომელიც რევოლიუციის შესაჭეთ გახდა.

ობიექტიური ნიადაგი ასეთი „პარტიული კვირისათვის“, უეჭველათ, მომზადებულია. ის მომზადებულია აგრეთვე ფსიხოლოგიურათ და სუბიექტიურათ, რასაც ამოწმებს მუშათა მასების ლტოლვა პარტიისაკენ. ოქტომბრის წლის თავზე ეკატერინბურგის გუბერნიაში პარტიაში შევიდა 805 მუშა, პერმის გუბერნიაში 545 და ნიჟეგოროდის გუბერნიაში კი თითქმის 2000. ეს ამტკიცებს იმას, რომ ნიადაგი უკვე მომზადებულია პარტიაში ახალი წევრების მიღებისათვის; ამიტომ აუცილებელია ორგანიზაციულათ იქნეს გაშინჯული და გამტკიცებული შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობა.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ასეთი კამპანიის გატარება საერთო რესპუბლიკანურ მასშტაბით დიდ შედეგებს გამოიღებს და ის მეტათ ასწევს პოლიტიკურ განწყობილებას მთელს ფედერაციაში. ჩვენი პარტიის 400.000 წევრი—მეტად მნიშვნელოვანი რაოდენობაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენი პროლეტარიატი შედარებით მცირერიცხოვანია. მაგრამ ჩვენს პარტიას შეუძლია კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იყვეს. ჩვენ არ მიგვიღია ყველა ზომები იმისათვის, რომ ჩაგვება ჩვენს ორგანიზაციაში შესაფერი პროლეტარული ელემენტები. ამ მხრივ საჭირო იქნება მთელ რიგ კამპანიების გატარება და პარტიაში ახალ წევრების მიღება.

ჩვენ ვაცხადებთ ამას პარტიულ წრეების საყურადღებოთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ პარტიის ცეკა საჭიროთ დაინახავს „პარტიულ კვირის“ განმეორებას, მაშინ ის არა ნაკლებ ბრწყინვალე შედეგებს გამოიღებს, ვიდრე ეს იყო 1919 წელში, რადგან ჩვენი პროლეტარიატი 4 წლის განმავლობაში პოლიტიკურათ ძალიან გაიზარდა, მასთან ერთად კი გაიზარდა მთელი ქვეყანაც“.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

ქალაქის საბჭოს არჩევნები.

სოხუმი. 21 ნოემბერი. ხვალ გაიმართება ქალაქის საბჭოს საარჩევნო კრებები. კრებების დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

ს. ს. რ. კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, აფხაზეთის კონსტიტუციის გამოქვეყნება, ნაკაზი დეპუტატებისადმი, არჩევნები. არჩევნების გამო შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა მუშაობა დაწესებულებებში შეწყდეს დღის 12 ნახევარ საათზე.

ბეტონის ქარხანა.

სოხუმი. 21 ნოემბერი. კომუნალური მეურნეობის განყოფილების რწმუნებულმა შეადგინა ბეტონის კომუნალური ქარხნის მოწყობის პროექტი.

დასასვენებელი სახლები.

სოხუმი. 21 ნოემბერი. პროფკავშირთა საბჭოს განზრახული აქვს მოაწყოს პროფკავშირთა წევრთათვის დასასვენებელი სახლები. პირველი სახლი უნდა მოეწყოს ახალ ათონში.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

სოხუმი. 21 ნოემბერი. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირს განზრახული აქვს მოაწყოს წერა-კითხვის უცოდინართა სკოლები. მეცადინეობის ვადა უდრის 4 თვეს.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

რიტა ალავერდოვას გამოწვევით შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს წევრებს: ილია მახულიას და ანდრო ფალიანს დასავლეთ საქართველოს პროკურორის თანაშემწეებს: დათიკო გაგუას, ივანე ფხაკაძეს და შალვა სანებლიძეს. შრომის მოსამართლეს მიშა გაგნიძეს.

თომა ბოცვაძე.

* * *

დათიკო რუხაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ და ჩემი მხრივ ვიწვევ გომის სპირტის ქარხნის ბუხგალტერს ილიკო ყოჩიშვილს და გომის სადგურის უფროსს სამსონ ჩიტიშვილს.

იოსებ რუხაძე.

* * *

ჩვენ, რკინის გზის ცტმოს განყოფილების მე 2 რაიონის მუშა-მოსამსახურეები ვსწირავთ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ შვიდას ორმოცდა ათ მილიონს (750.000.000) მანეთს—და ვიწვევთ პირველ და მესამე რაიონის ამავე დარგის მუშებს.

კომისიის წევრები **ილია თოდრია, პარმენ სიხარულიძე და მიხა დოლიძე.**

* * *

ამასთანავე ერთად გიდგენთ ცეკავშირის კერამიკული ქარხნის მუშების მიერ გაღებულ შემოწირულებას გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ სულ 59,600.000 მანეთს.

ს. მამულოვი.

* * *

შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ 5 მანეთი ჩერვონეცით (67,000,000) გიზო დოლიძის და ქეთო მგელაძის გამოწვევით. ჩემი მხრივ ვიწვევ მერი მდივანს, ლენა სტურუას, ქეთო ელისაბედაშვილს, კლეოპატრა კალანდაძეს და თამარა ბუკიას.

ლილი გოგოტიშვილი.

* * *

ამხ. ა. ქავთარაძის, ბ. ბერიას და ა. გოცირიძის გამოწვევით შემომაქვს 25 ვერცხლის ნახევარ მანეთიანები გერმანელ მუშებისათვის და ჩემის მხრით ვიწვევ ზუგდიდიდან: ამხ. სერგო ელიავას და ალექსანდრე გაბუნიას (პროვიზორები); სოხუმიდან: ალექსანდრე ჯაიანს, ჯოდოლი თოფურიძეს და ექიმებს: ვიანორ ანჩაბაძეს, საშა გრიგოლიას და ბაგრატ იოსელიანს.

ექ. ა. დგებუაძე.

* * *

ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის მე-3 ასეულის კურსანტებს შემოგვაქვს გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლათ ორმოცი მილიონი ექვსასი ათასი მანეთი (40.600.000 მ.) და ვიწვევთ ამავე სკოლის 1, 2 და ტყვიის-მფრქვეველ ასეულების კურსანტებს, სკოლის უმწყობრო გუნდის წითელ-არმიელებს, ცხენოსან და საარტილერიო განყოფილების კურსანტებს. **ქართ. მეთაურთა სამხედრო სკოლა.**

შემოვიდა 22 ნოემბერს:

თ. ბოცვაძესაგან 1 ჩერვონეცი, ი. რუხაძესაგან 1 ჩერვონეცი, ცტმოს მე-2 რაიონის მუშა მოსამსახურეებისაგან 750.000.000 მანეთი, გ. გულვერდაშვილი 60.000.000 მან., გ. ცხადაძესაგან 60.000.000 მან., ა. სარქისიანცისაგან 50.000.000 მან., ცეკავშირის კერამიკული ქარხნის მუშებისაგან 59,600.000 მანეთი, ლილი გოგოტიშვილისაგან 67.000.000 მანეთი, ექიმი ა. დგებუაძესაგან 12 მან. 50 კაპ. ვერცხლით, ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის მე 3 ასეულისაგან 40.600.000 მანეთი.

სულ: 2 ჩერვონეცი, 12 მ. 50 კ. ვერცხლის ფული და 1.087.200.000 მანეთი.

წინეთ შემოსულით: 332 ჩერვონეცი, 9 ნახ. გირ. ინგ. სტერლინგი, 30 ნახ. ოსმალური ქალ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 22 ოქროს ბეჭედი, 3 ოქროს სამაჯური, 5 ოქროს საგული, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 53—40 კაპ. ვერცხლით, 3 ვერცხლის პორტსიგარი, 1 ვერცხლის რგოლი, 2 ნაჭერი ოქრო, წონით 1 მისხალი, და 25.831.937.000 მან.

აჭარისტანი.

საქ. ახალგაზრდობის კომკავშირის 6 წლის თავი.

ბათომი. 21 ნოემბერი. 20 ნოემბერს ხელოვნების მუშაკთა კავშირის თეატრში ახალგაზრდობის კომკავშირის 6 წლის თავის აღსანიშნავად შესდგა ახალგაზრდობის კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრთა საზეიმო კრება, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს პარტიის, წითელი არმიის და პროფორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ნავთსადგურში

ბათომი. 21 ნოემბერი. წავიდა სტამბოლში საფრანგეთის გემი „ფრიჟ“ 2440 ტონა სხვადასხვა ტვირთით.

აზერბეიჯანი

სახალხო მოსამართლეთა რიცხვის გადიდება.

ბაქო. 21 ნოემბერი. ქალაქის საბჭოს მიერ სამი უბნის სახალხო მოსამართლეთა ადგილობრივი ხარჯზე მიღების გამო, იუსტიციის სახალხო კომისარიატმა მოსამართლეთა რიცხვი ქალაქში 5 დან 9-დე გაადიდა. ამასთან დაკავშირებით იცვლება სასამართლოს მოქმედების ტერიტორიალური ფარგალიც. აგრეთვე გაზევრდება საგამომძიებლო უბნებიც 5 დან 6 მდე. ამის გამო, ეჭვს გარეშეა, შემცირდება სასამართლოების საქმეებით დატვირთვა და საქმეების განხილვაც დაჩქარდება.

არქეოლოგიური მუშაობა.

ბაქო. 21 ნოემბერი. საარქეოლოგიო საზოგადოების თხოვნით, ხანის სასახლისა და ციხის მახლობლად დაანგრევენ დაძაბუნებულ სახლებით სავსე მთელს კვარტალს. იმ ადგილებში შეუდგებიან საარქეოლოგიო მიზნით თხრას. იმედი აქვთ, რომ ამ ადგილებში საარქეოლოგიო ნაშთებს აღმოაჩენენ.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

ბაქო. 21 ნოემბერი. სრულიად აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობის დროს, ბაქოში მოეწყობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელზედაც უმთავრესად გამოჰფენენ მოსკოვის გამოფენაზე ნაყოფს ექსპონატებს და აგრეთვე აზერბეიჯანის ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო-სამრეწველო კოლექციებს.

მუშა-კორესპონდენტთა კურსები.

ბაქო. 21 ნოემბერი. 23 ნოემბერს მოქმედებას იწყებს მუშა კორესპონდენტთა კურსები, რომელიც ადგილობრივმა გაზეთებმა მოაწყეს.

მატარებელზე თავდასხმა.

ბაქო. 21 ნოემბერი. ბაქოდან მიღებული ცნობებით, 17 ნოემბერს, ღამის 10 საათზე, როსტოვიდან ბაქოში მომავალ საფოსტო მატარებელს № 4, სოლდატსკოის სადგურზე, თავს დაესხა ბანდიტების ბრბო. როდესაც მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა და მსვლელობას უკლო, ბანდიტებმა „ზალპი“ მისცეს. მინერალოვოდსკის დეპოს მემანქანე გოროხოვი არ დაიბნა, მატარებელი სრულის მსვლელობით გააქანა და მეორე სადგურამდე მიიყვანა, გამგზავრების ნებართვის აუღებლად. ამგვარად გადაარჩინა მგზავრებით გაჭედილი მატარებელი ძარცვას.

ყოფილ დაშნაკელთა სრულიად სომხეთის ყრილობა

ერევანი. 21 ნოემბერი. გუშინ სახელმწიფო თეატრის დარბაზში გაიხსნა სრულიად სომხეთის ყოფილ დაშნაკთა ყრილობა. ყრილობას ესწრებიან დელეგატები რესპუბლიკის ყველა კუთხეებიდან; დელეგატთა რიცხვი 200 კაცს აღემატება.

ყრილობა გახსნა ზანგეზურის დელეგატმა, ყრილობის მომწვევ საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარემ, ბაკუნცმა. მიესალმა რა ყრილობას, ბაკუნცმა თავის შესავალ სიტყვაში ხაზი გაუსვა ყრილობის დიდ ისტორიულ პოლიტიკურ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ დაშნაკცუტიუნის პარტიის 33 წლის ისტორიაში დღეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სომხეთის დაშნაკცუტიუნის პარტიის უბრალო წევრებს საშუალება აქვთ თავისუფლათ შეიკრიბონ და გამოსთქვან თავისი აზრები და სურვილები დაშნაკთა შეფების გავლენისა და ძალდატანების გარეშე.

„ყრილობის წინაშე, სთქვა ბაკუნცმა, სდგას უდიდესი მნიშვნელობის საკითხები. ჩვენს წინ სდგას პარტიის 33 წლის მოღვაწეობა და მის მიერ წარმოებულ პოლიტიკის დამღუპველი შედეგები; ჩვენი მოვალეობაა მათი ხელახალი გადაფასება მოვახდინოთ და ეს უნდა მოხდეს თავისუფალი შეგნებისა და ნებისყოფის გამომჟღავნების საშუალებით. დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ დაშნაკთა პარტიამ მოიხადა სოციალიზმის ნიღაბი; სოციალიზმის სახელით პარტიის ლიდერები ათეული წლების განმავლობაში გვატყუებდენ და გვაბრმავებდენ ჩვენ. ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა საზღვარგარეთელ დაშნაკელთა შეფების ვენის კონფერენციამ, რომელზედაც დაშნაკცუტიუნი საბოლოოთ გადავიდა საერთაშორისო ფაშიზმის ბანაკი. ამ ისტორიულ დღეებში, დაამთავრა ბაკუნცმა, როდესაც შრომა და კაპიტალი ბრძოლის საბოლოო ფაზაში შევიდენ, ჩვენთვის, სომხეთის ყოფილ დაშნაკთათვის, ნათელი უნდა იყოს, როგორია ჩვენი გზა: რევოლიუციასთან თუ კონტრრევოლიუციასთან“.

ბაკუნცის სიტყვები დაფარა მხურვალე აპლოდისმენტებმა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ გუმბრის, ნორბაიზეტის, ეჩმიაძინის, ქამარლიუს და სომხეთის სხვა მაზრების წარმომადგენლები, და აგრეთვე ყოფილ დაშნაკთა მუშების წარმომადგენლები, რომელნიც ბაქოდან ჩამოვიდენ; მათი სახელით მეტად მგრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა მუშა ვაგანმა, რომელიც მიესალმა სომხეთის ყოფილ დაშნაკებს და მათ საინიციატივო ბიუროს. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა ქამარლიუს წარმომადგენ-

ლის, უძილეს დაშნაკელის სიტყვამ. მან დაშნაკთა პარტია დაახასიათა როგორც პარტია, რომელსაც ცალ ხელში ეჭირა ხმალი, მეორე ხელით კი ის თხრიდა თავისთვის სამარეს და ამ სამარეში უნდა იქნეს ის ეხლა დასაფლავებული.

ახალგაზრდა დაშნაკთა წარმომადგენელმა თავის მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა:

„ჩვენ არ უნდა მოვკლათ დაშნაკცუტიუნი, ჩვენ მხოლოდ ფორმალური მხარე უნდა მივცეთ მის სიკვდილს, რადგან ის დიდიხანია უკვე მოკვდა“.

მისასალმებელ სიტყვების შემდეგ ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს, სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს. პრეზიდიუმის წევრებათ არჩეულნი არიან თუმანიანი, ბაკუნცი, ბალასანეიანი, ტერ-პოღოსიანი და პალიანი. ყრილობის საპატიო თავჯდომარეებათ არჩეულნი არიან ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, მიასნიკოვი, ლუკაშინი, ამბარცუმიანი და შახსუვარიანი. ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს ამხ. ამხ. ლენინს, ტროცკის და ზინოვიევს.

ყრილობის გახსნის გამო, გამოვიდა ყოფილ დაშნაკთა საინიციატივო ბიუროს ორგანოს „პრაბერ“-ის („უწყება“) პირველი ნომერი.

ყოფილ დაშნაკთა საინიციატივო ბიუროს მოწოდება

ერევანი. 21 ნოემბერი. სომხეთის ყოფილ დაშნაკთა ყრილობის გახსნის გამო, საინიციატივო ბიურომ 16 წევრის ხელისმოწერით გამოუშვა მოწოდება, რომელიც მიმართულია ყველა ყოფილ დაშნაკელებისადმი:

„სომხეთის ყოფილ დაშნაკთა ყრილობამ თავისი უკანასკნელი გადამწყვეტი სიტყვა უნდა უთხრას დაშნაკთა ლიდერებს; ყრილობამ უნდა შეაფასოს პარტიის წარსული მოღვაწეობა და გამონახოს ახალი გზა ყოფილ დაშნაკთა მასებისათვის. სომხეთის ყოფილ დაშნაკთა მასა წავა ოქტომბრის რევოლიუციის წითელი გზით, რადგან ის ღრმად დარწმუნებულია, რომ სომხეთის მშრომელთა ბრწყინვალე მომავალს დაამყარებს მხოლოდ საბჭოთა წესწყობილება. ყრილობა მოწვეულია არა იმისათვის, რომ ქება-დიდება შევასხათ საბჭოთა წესწყობილებას, და აგრეთვე არა დროსა და კაზანიანის მაგვარ დაშნაკელების გამართლებისათვის, არამედ იმისთვის, რომ სასტიკ კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ პარტიის მიერ წარმოებული პოლიტიკა და გამოვიმუშაოთ ახალი გზა, რომელიც უფრო მისაღები იქნება დაშნაკთა მასისათვის. მხოლოდ ამ გზით შეუძლია დაშნაკთა მასას წინსვლა, მხოლოდ ასეთი საშუალებით შეუძლია მას ეზიაროს ქვეყნის აღმშენებლობით მუშაობას და წინააღმდეგობა გაუწიოს კონტრ-რევოლიუციონერებს, რომელნიც ცდილობენ ხელი შეუშალონ სომხეთის მშრომელი ხალხის მშვიდობიან შრომას“.

პარტიული ცხოვრება

ამხ. მარია ორახელაშვილის მოხსენება

ტფ. სახელ. უნივერსიტეტისა და მუშფაკის კომუჯრედის ღია კრებაზე

16 ნოემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მუშფაკის კომუჯრედის მორიგ ღია კრებაზე, რომელსაც დაესწრო კომუნისტური ახალგაზრდობა და უპარტიო მასაც, „სოფლის და ქალაქის კავშირის“ შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მარიამ ორახელაშვილი. დარბაზი გაჭედილი იყო მსმენელებით.

მომხსენებელმა ილაპარაკა მთელი საათ-ნახევარი და სავსებით გააშუქა საკითხი. მომხსენებელმა ღრმა ანალიზი გაუკეთა ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობას 1917 წლიდან დღემდე, გაარკვია „რაზვიორსტკა“-ს „სასურსათო გადასახადი“-ს და „ერთიანი გადასახადი“-ს ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეები და აღნიშნა, რომ ზოგიერთი ამ სისტემათაგანი იწვევდა უკმაყოფილებას გლეხთა შორის და აძნელებდა მშრომელთა მთლიანი კავშირის განმტკიცების საქმეს. ეს დიადი საკითხი პირველად არ [illegible] ჩვენი ცხოვრების პრაქტიკაში. ის, როგორც დიდმნიშვნელოვანი საკითხი სოციალისტურ რევოლიუციის გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის, განსაკუთრებით ჩვენ გლეხურ ქვეყანაში, ჩვენმა დიდმა მასწავლებლებმა ფრ. ენგელსმა და შემდეგ ამხ. ლენინმა ადრევე გააშუქეს და მის გამოკვლევას უძღვნეს მთელი რიგი თხზულებებისა, რაც პრაქტიკულ ცხოვრებაში გასატარებლად წამოიჭრა დღევანდელ სინამდვილეში. მომხსენებელმა მოიყვანა ციტატები ზემოხსენებულ რევოლიუციის ბელადების ნაწერებიდან, რომლითაც ამტკიცებდა, რომ მჭიდრო კავშირის დაჭერა სოფელსა და ქალაქს,—გლეხსა და მუშას შორის, არის თავდები ჩვენი სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებისა, რისთვისაც პარტია ვალდებულია ეს მრავალჯერ თქმული სიტყვა საქმედ აქციოს.

გლეხი უნდა გამოვიყვანოთ იმ აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობიდან, რომელშიდაც ის ჩააყენა მსოფლიო ომის შედეგებმა. გლეხს უნდა მივსცეთ საშუალება, რომ თავისი ნაწარმოების იმ ზედმეტი ნაწილით, რომელიც ბაზარზე გასასყიდათ გამოაქვს შეეძლოს რაიმე თავისთვის აუცილებელი, საქალაქო მრეწველობის ნაწარმოების შეძენა. უნდა გაუმჯობესებულ იქნას ჩვენი გლეხის სახნისი და გუთანი, ყველა მისი სამეურნეო იარაღები, რომლის ფორმა შეუცვლელია, თითქმის პირველყოფილი, უხსოვარ დროიდან. უნდა აღვადგინოთ სასოფლო მეურნეობა. უნდა გავაჯანსაღოთ კოოპერაცია. უნდა მოისპოს ბიუროკრატიული წესი მმართველობისა, საგრძნობლად შემოკლდეს ძალზე „გასივებული“ შტატები, რომელიც უზომო ტვირთად აწვება მშრომელ გლეხობას და სხვა. ერთი სიტყვით გატარებულ უნდა იქნას მთელი რიგი ზომებისა, რითაც შეიძლება გაუმჯობესდეს გლეხობის კულტურული და ეკონომიური მდგომარეობა.

მოხსენების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. მარიამ ორახელაშვილისა ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცების შესახებ, სახ. უნივერსიტეტის კომუჯრედი აცხადებს: კავშირი ქალაქისა და სოფელს შორის არის ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა რევოლიუციის-გამარჯვებისათვის და ჩვენი ქვეყნის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ამის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებით: სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე, განსაკუთრებით პურზე, ფასების აწევა ექსპორტის მოწყობის საშუალებით, ქალაქის ნაწარმოებზე დამატებითი ხარჯების შემცირებით, ისე რომ გლეხობამ შესძლოს თავის ნაწარმოებში აღებული ფასით შეიძინოს ქალაქის ნაწარმოები, გაუმჯობესება და გამარტივება სავაჭრო აპარატებისა, მათში ბიუროკრატიზმის და „კანცელიარშინის“ მოსპობით. მომხმარებელ კოოპერატივების გაძლიერება და გაჯანსაღება. გადასახადების აკრება ფულის სახით, შემოკლება გადასახადებისა და მათი გაერთიანება. კულტურული საქმიანობის გაძლიერება და მისთვის სისტემატიური ხასიათის მიცემა კულტურული ძალების სოფლად გამრავლებით, შეფობით სოფლებზე და სხვა.

გ. შემოქმედელი.

ეკონომიური ცხოვრება

საქ. ტყავეულობის მრეწველობა

ტყავის დამმუშავებელი ყველა წარმოებები ოქტომბრის განმავლობაში შეუჩერებლად მუშაობდნენ, გარდა ქეჩის დამმუშავებელ ფაბრიკისა, რომელიც მუშაობდა ნაწილობრივ. ამ ფაბრიკის მუშები ტყავის ქარხნებში მუშაობდნენ. ნოემბრის დაწყებამდე ყველა წარმოებებში ირიცხებოდა სულ 408 კაცი, აქედან 339 კაცი მუშაობდა საწარმოვო დაწესებულებაში ოქტომბრის განმავლობაში 8427 სამუშაო დღიდან საწარმოვო, მუშებმა გაუშვეს გამოუცხადებლობის გამო, სულ 728 დღე, აქედან 618 დღე გაშვებულია საპატიო და 117 არა საპატიო მიზეზით.

წარმოების პროდუქცია გამოიხატება შემდეგი ცხრილით:

ტყავის ქარხანა № 1—44.565 მ. 80 კ.—48,7 პროც.; ტყ. ქარხ. № 3 13.012 მ. 40 კ.—14,2 პროც; ფეხსაცმელების ფაბრიკა—27.253 მ. 10 კ. 29,7 პროც; ელექტრონის სადგური—2.934 მ.—3,2 პროც, ქეჩის ფაბრიკა—3.795 მ. 4,2 პროც.; სულ 91.560 მან. 10 კ—100 პროც. ;მოყვანილი ჯამი აღემატება სექტემბრის პროდუქციას 14.307 მანეთით.

ორმა ტყავის ქარხანამ დაამუშავა აღნიშნულ თვის განმავლობაში 2045 მსხვილი და 758 წვრილი ტყავი, რაც შეადგენს 10,5 პროც 1923 | 4 წლით დანიშნულ განაკვეთისას. ფეხსაცმლების ფაბრიკამ გამოუშვა 24.370 მანეთის ღირებულების ფეხსაცმელები, ქეჩის ტანსაცმელი 2169 მან. და სხვა ნაწარმოების—714 მანეთისა. ვინაიდან ზამთრის სეზონი დაიწყო, განზრახულია თბილი ფეხსაცმლების დამზადების გაფართოება. საანგარიშო თვის განმავლობაში დამზადებულია: ნაბდის წაღები 284 წყვილი, ქეჩის ბატინკები—285 წყვილი, ტუფლები 164 წყვ., ჩუსტები 2596 წყვ., სანდალიები 625 წყ. და სხვ. ამ მხრით საწარმოვო პროგრამა სავსებით შესრულებულია.

საზოგადოთ, ოქტომბერი როგორც თვით წარმოებით, ისე ნაწარმოებთა რაოდენობით სარგებლიანად უნდა ჩაითვალოს. გარეშე პირობების გაუმჯობესობის გამო მოსალოდნელია, რომ ტყავის მრეწველობის მდგომარეობა უფრო მოკეთდება, ხოლო იმ პირობით, თუ კი მისი ფინანსიური შესაძლებლობანი შეესაბამება ამჟამად შექმნილ მდგომარეობას ნედლეულის ბაზარზე. ნედლეულის დამზადება საერთოდ კარგ პირობებში მიმდინარეობს. მრეწველობის მთავარ გამგეობას მინიჭებული აქვს თითქმის მონოპოლიური უფლებები ნედლეულის ბაზარზე, მეორე ფაქტორი ტყავის მრეწველობის გაჯანსაღებისა არის მისი წარმოების კონცენტრაცია. საანგარიშო თვის განმავლობაში პირველი და მეორე ტყავის ქარხნებისათვის გამოშვებულია დასამუშავებლად 2220 მსხვილი ტყავი. სათადარიგოდ რჩება კიდევ 2904 მსხვილი ტყავი, თუმცა აღნიშნულ თვის პროდუქციის რეალიზაცია აღემატება წინა თვეების რეალიზაციას, მაგრამ ვაჭრობის საერთო მოდუნების გამო გამოშვებულ საქონლის რაოდენობიდან გაიყიდა მხოლოდ 80 პროც., დანარჩენი დარჩა გაუსაღებელი.

ნაწარმოების მყიდველთა შორის პირველი ადგილი უჭირავს კერძო პირთ, რომლებმაც იყიდეს 47205 მანეთის საქონელი, შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებებს—7997 მან. და ბოლოს კოოპერატივებს—142 მანეთის. თავის პროდუქციის რეალიზაციაში—ნედლეულის დამზადებაშიაც, როგორც უკვე ნათქვამია, იგი კონკურენციის გარეშე დგას. ამ ჟამად უახლოეს ამოცანად დასახულია ფინანსიურ საშუალებათა გამონახვა.

სრ. რუს. გაერთიანება „გლავშვეიმაშინა“

1923 წლის პირველ სექტემბრიდან სრულიად რუსეთის გაერთიანებამ „გლავშვეიმაშინა“-მ გახსნა ტფილისში და 1 ოქტომბრიდან ქუთაისში თავისი განყოფილებები, რომელთა შემწეობით გაერთიანებამ უშუალოდ უნდა მიაწოდოს მომხმარებლებს თავისი ფაბრიკატები, სახელდობრ: საკერავი მანქანები—საშინაო, სახელოსნო და სპეციალურ ხმარებისათვის, სამანქანო ზეთი, ნემსები, ძაფი, ღვედები და სხვა დამხმარებელი აპარატები. განყოფილებებთან მოწყობილია სახელოსნოები, სადაც მოხდება მანქანების რემონტი, გაწმენდა, მოწყობა, მშრომლებთათვის მისაწვდომ ფასებში.

„გლავშვეიმაშინა“-ს გამგეობას განზრახული აქვს ამ დღეებში გამოუშვას მანქანები მშრომელთათვის შეღავათიან პირობებში.

ტფილისის ბირჟის კვირეული.

(9—16 ნოემბერი).

ამ კვირის განმავლობაში ბირჟას დაესწრო 305 წევრი და 159 გარეშე პირი. დადებულია საფონდო გარიგება 305 და საქონლის—22 საფონდო გარიგებების ჯამი უდრის 225665 ჩერ. მან; საქონლის გარიგებების ჯამი უდრის 106627 სულ—332,292 ჩერვ. მან. მყიდველები იყვნენ: სახელმწიფო დაწესებულებები 206, კოოპერატივები—20, საზოგადო ორგანიზაციები—8 და კერძო პირნი—18; გამყიდველები: სახელ. დაწესებ.—271, კოოპერატივები—6, საზოგ. ორგანიზაციები—14 და კერძო პირნი—36.

იყიდეს ვალიუტა (ჩერვ.): სახ. დაწესებ. 131799, კოოპერატივებმა—13090, საზ. ორგან. 440 და კერძო პირებმა 50330. გაყიდეს ვალიუტა: სახ. დაწეს.—162192 ჩერვ., კოოპერატივებმა—10000, საზ. ორგანიზ. 15135 და კერძო პირებმა—38338. იყიდეს საქონელი: სახ. დაწესებ.—39249, კოოპერატივებმა—2625, კერძო პირებმა 64752.

გაყიდეს საქონელი: სახ. დაწესებ.—50335 ჩერვ, კოოპერატივებმა 27485 და კერძო პირებმა 28807 ჩერვ.

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(21 ნოემბერი).

ჩერვონცები	165,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	156,000
ჩეკები	155,000
დოლარები ეფექტ.	36,000
ჩეკები	33.500
ოსმ. ქაღ. ლირა	18.500
იტალიური ლირა	1100
ფრანგული ფრანკი	1650
საბჭ. ფულის ნიშნები	14 ნახ.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1 კ.	165 000	60 კ.	9.990 000
2 „	330.000	70 „	11.550.000
3 „	495 000	80 „	13.200.000
4 „	660.000	90 „	14.850.000
5 „	825 000	1 მ.	16.500 000
6 „	990.000	2 „	33.000.000
7 „	1.155 000	3 „	49 500.000
8 „	1.320.000	4 „	66.000.000
9 „	1.485.000	5 „	82.500.000
10 „	1.650.000	6 „	99 000.000
20 „	3 300 000	7 „	115.500.000
30 „	4 950 000	8 „	132.000 000
40 „	6.600 000	9 „	148.500.000
50 „	8.250.000	1 ჩერ.	165 მილ.

მუშკოოპის ფასები.

პური 1 ხარ.—600 ათ., პური 2 ხარ.—500, ძროხის ხორცი—1750 მ. ცხვრის ხორცი—1,850 ათ., შაქარი რაფინადი 7,650, ფხვნილი შაქარი 4650 ათ., მაკარონი 2250, ბრინჯი აღდაშის 1,850, კარტოფილი—250.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—850—950 ათ, პური 2 ხარ—700 ათ., ძროხის ხორცი 1900—2000 ათ., ცხვრის ხორცი—2.200., შაქარი რაფინადი—6.800 ათ., ფხვნილი შაქარი — 4,300,—მაკარონი—1900-2,000. ბრინჯი აღდ.—1500, კარტოფილი—300-350.

ბირჟის მიწოდება.

ლაგოდეხის თამბაქო 1 ხარ. „კოჟსინდიკატის“ პროდუქცია. ტყავის ღვედები. ბერტოლეტის მარილი (ფხვნილი). ლურსმნები. რუს. მანუფაქტურა ქიმიური ნაწარმოები. ფხვნილი შაქარი, რუს. და იავის. შაბიამანი. კანიფოლი. ჩაი. კაუსტიური სოდა, ასანთი რუს. საპონი. ოლიფას ზეთი. ცემენტი და ეტერნიტი. მზესუმზირას ზეთი. ელექტრო-ტეხნიკური მასალა. ქვა-მარილი ნახიჩევანის. ყუბანის ფქვილი (საკანდიტერო) საზზა. მაკარონი და ვერმიშელი 2 ხარ. რკინეულობა ურალის.

ბირჟის მოთხოვნილება.

შაქარი რაფინ. და ფხვნილი რუს. ბერტოლეტის მარილი. რუს. მანუფაქტურა. სალომასი. მზესუმზირას ზეთი. პორტლანდის ცემენტი. ტეხნიკური ცხიმი, ლურსმანი. ჩაი. ასანთი ტყავის ღვედები. ქიმიური ნაწარმოები. ყუბანის ფქვილი.

ოფიციალური ნარიგებანი.

მატყლი თუშური თეთრი—16 მან. ჩერვ. ფუთში ფრანკო-გამყიდველის საწყობი ტფილისში.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

რძის ნაწარმოების და ქონის ფასებმა აიწიეს; მატყლის ფასები მტკიცეა. დანარჩენ ბაზრებს ეტყობა უმოქმედობა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი

20 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 6 გარიგება, სულ 8248 ჩერ. მან. თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცები და უცხო ვალიუტა შეუჩერებლად ზევით იწევს; აწევის ტენდენცია ეტყობა აგრეთვე საბჭ. ფულის ნიშნებს.

ამხ. ბუდიონი ჩვენთან

(ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარი სახელოსნოები)

ამიერკავკასიის რკინისგზის მთავარ სახელოსნოების ცეხის ვეებერთელა შენობა გაჭედილია 4000 მუშით.

აი გამოჩნდა ორთქლმავალი, რომელზედაც აუარებელი ხალხია თავმოყრილი. ყველას სახეები უბრწყინავს. ისმის რევოლიუციონურ სიმღერების ხმები. თუმცა მუშებს ჯერ არც კი უსადილნიათ, მაგრამ მოთმინებით მოელიან სახალხო გმირის ამხ. ბუდიონის მოსვლას. ყველას აინტერესებს მისი დანახვა.

უეცრად გაისმის „ურას“ ძახილი, ტაშის ცემაც თანდათან ძლიერდება. აი ისიც გამოჩნდა. ის არ არის მაღალი, ლამაზი, როგორათაც უმრავლესობას ჰყავდა წარმოდგენილი; გრძელი ულვაშებით და რუხი „ბუდიონოვკით“ თავზე. გულზე 2 საპატიო ნიშანი აქვს, წითელი დროშის ორდენი. ამხ. ბუდიონი იწყებს ლაპარაკს ყველანი დაჩუმდენ და სულგანაბული უსმენენ მას.

ამხ. ბუდიონის სიტყვა.

გაისმის მისი მკვეთრი ლაპარაკი: „სალამი თქვენ, ამხ. მუშებო. მე აქ, ტფილისში, წინადაც ვყოფილვარ. მაშინ, როდესაც არმია იყო თვითმპყრობელობის, თავისუფლების და ეროვნების შელახვის სინონიმი.

ეხლა უკვე იგი არის მუშათა კლასის თავისუფლების და ერთა თვითგამორკვევის საწინდარი. აქ მე ვნახე კურსანტების ქართული შერეული სკოლა, სადაც ემზადებიან წითელი კომანდირები, ხალხის წიაღიდან გამოსულები მთელი მსოფლიოს კლასიურ ინტერესების დასაცავად. ჩვენ განვიცადეთ ბევრი ტანჯვა წამება და გაჭირვება. ყველაფერი ეს კიდევ არ არის გადალახული, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად უცქიროთ გერმანიის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას ახლო მომავალში. ჩვენ არა ვართ წინასწარმეტყველები და არ შეგვიძლია ვსთქვათ, როდის დაიწყება ეს ბრძოლა, მაგრამ სიტუაცია ისეთია, რომ იგი აუცილებლად იქნება. ჩვენ კლასიურ მტრებს სურთ დაალრჩონ პროლეტარიატი არა მარტო თავიანთ ეროვნულ ჩარჩოებში, არა, ეს იმათთვის არის მახლობელი დღის საკითხი, არამედ საკითხი დასმულია მათ მიერ გაცილებით ფართოთ: რათაც არ უნდა დაუჯდეთ ჩააქრონ ს. ს. რ. კავშირის რევოლიუციის ცეცხლი. „ეს იმათთვის არის პრობლემა, რომლის გადაჭრა აუცილებელია“. აი ეს გარემოება გვაიძულებს ჩვენ, თუმცა სულით და გულით ვილტვით მშვიდობიანობისაკენ და ვართ ომის წინააღმდეგი, ვიყოთ მზათ ომისთვის, რადგან „გვინდა თუ არ გვინდა ბრძოლა საჭიროა“. მოწინააღმდეგე კლასების უკანასკნელი შეტაკება გამოიწვევს ისეთს ომს, რომლის წინაშე დაიჩრდილებიან ყველა წარსული ომები“.

ჩვენ თუ ვარსებობთ, ეს აიხსნება ჩვენი ბეჯითობით, თავდადებით და შრომით და არა მსოფლიო კაპიტალის კეთილი სურვილებით. დღეს ჩვენ შემოგვცქერის მთელი დედა-მიწის მშრომელთა კლასი“. ამხ. ბუდიონმა დაამთავრა თავისი სიტყვა შემდეგი ლოზუნგებით: „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს შრომის დაუზოგავ ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ!“ ასტყდა დაუსრულებელი ტაშის ცემა და „ურა“-ს ძახილი.

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა.

შემდეგ ამხ. ს. ორჯონიკიძე სთარგმნის ქართულად ამხ. ბუდიონის სიტყვას და დასძენს: „თქვენ, რა თქმა უნდა, იცოდით ვინ არის ბუდიონი: მიწის-მუშის შვილი და თვითონაც მიწის მუშა. მას არა აქვს მიღებული არავითარი განათლება, გარდა კლასიური ინსტიქტისა, რამაც ის საბჭოთა კავშირის წითელი არმიის სარდლად გახადა, ამხ. კამენევთან ერთად. „რევოლიუციის საქმე მანამ არ დასრულდება გამარჯვებით, სანამ საწარმოვო ფრონტზე თქვენ, ამხანაგებო, არ წამოაყენებთ ბუდიონებს. რატომ ვართ ჩვენ სუსტნი სამეურნეო ფრონტზე, მაშინ როდესაც დარწმუნებული ვართ წითელი არმიის ძლევამოსილებაში? იმიტომ რომ ჩვენ არა გვყავს ბუდიონები, არამედ გვყავს ძველი სპეცები, ჩვენი კლასიური მტრების მიერ აღზრდილნი

მუშების წარმომადგენლის მისალმება.

ამხ. ბუდიონს მიესალმა მუშა ამხ. ვარლამოვი. „ვესალმები ამხ. ბუდიონს მუშების სახელით, მადლობას ვუცხადებ მას იმისათვის, რომ მისმა ძლევამოსილმა წითელმა ცხენოსანმა ჯარმა დაამსხვრია კონტრ-რევოლიუციის შავ-ბნელი ძალები, წითელი მოსკოვის კედლებთან, სადაც სამღვდელოება უკვე ამზადებდა თავის ამუნიციას საზეიმო შეხვედრისათვის. და კიდევ იმისათვის, რომ წითელმა არმიამ დახმარება გაუწია ამიერ-კავკასიის პროლეტარიატს ჩამოეგდო ოპორტიუნისტების, ცრუ სოციალისტების უღელი. გავამაგრებთ რა საწარმოვო ფრონტს, წითელ არმიასთან ერთად ფოლადის ცხენებზე ვიბრძოლებთ მთელ მსოფლიოს მშრომელთა განთავისუფლებისათვის!“

ამხ. ვარლამოვის სიტყვის შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ვ. ქავთარაძის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია.

რეზოლიუცია.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშების საერთო კრება, მოისმინა რა მან ამხ. ბუდიონის მოხსენება, გულმხურვალეთ ესალმება წითელ გმირს, რომელმაც შექმნა წითელი არმია, განსაკუთრებული თავდადებით შეასრულა დაკისრებული საქმე, დაამარცხა საბოლოოდ საბჭოთა კავშირის მტრები. საერთო კრება იმედოვნებს, რომ წითელი კავალერია, ისე როგორც წითელი არმია დასვენების დროს უფრო გააძლიერებს თავის რიგებს და როცა დრო დადგება უფრო ენერგიულად შეუტევს საერთაშორისო კაპიტალს და ფაშიზმს.

მთავარ სახელოსნოს მუშების საერთო კრება სთხოვს ამხ. ბუდიონს გადასცეს მოსკოვის, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მუშებს და მთელ წითელ ლაშქარს გულისწყრომა ჩვენი ამხანაგის ვოროვსკის მკვლელის გამართლების გამო. საერთაშორისო პროლეტარიატის ვეტერანის—ამხ. ვოროვსკის მკვლელის გამართლებით, საერთაშორისო ბურჟუაზიამ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა პროლეტარიატს თავისი მტრული ზრახვები.

ეს გარემოება ჩვენ გვაიძულებს გავაორკეცოთ მუშაობა საბჭოთა კავშირის საწარმოვო ფრონტზე, რითაც ჩვენ გავამაგრებთ წითელი ლაშქარის რიგებს, რომელიც საჭირო მომენტში მზად იქნება პასუხი გასცეს საერთაშორისო ბურჟუაზიას ამხ. ვოროვსკის მოკვლისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა ძალა-უფლებას!

გაუმარჯოს მის სიმაგრეს, წითელ ლაშქარს და მის სახელოვან მეთაურებს ამხ. ტროცკის და ბუდიონს“!

ამის შემდეგ მუშებმა ხელით გაიყვანეს ამხ. ბუდიონი სახელოსნოებიდან და დიდხანს არ შეწყვეტილა „ურა“-ს ძახილი და უსაზღვრო სიხარული, რომელიც გამოწვეული იყო ამხ. ბუდიონის ჩამოსვლით.

პროფკავშირებში

მბეჭდავთა კავშირის სრულ. დ საქართველოს მესამე ყრილობა

მეორე და მესამე სხდომები

ცენტრალური გამგეობის მოხსენება

საორგანიზაციო მუშაობის მთავარი ამოცანა იყო კავშირის გაწმენდა ზედმეტი ელემენტებისაგან, რომელთაც თავისი რწმენით და მდგომარეობით პროფორგანიზაციასთან არავითარი საერთო არ ჰქონდათ. ამ მიზნით მოხდა წევრთა ხელახალი აღრიცხვა და ჩატარდა წმენდა 22 წარმოებაში, წმენდაში მოჰყვენ აგრეთვე უმუშევარნიც.

წმენდის დასრულების შემდეგ, მოეწყო საურთიერთო დახმარების კასის სასარგებლო კამპანია, რომელმაც ნაყოფიერი შედეგი გამოიღო.

ამ ჟამად საურთიერთო დახმარების კასის წევრად ითვლება 833 კაცი, ე. ი. კავშირის წევრთა 77 პროცენტი.

საორგანიზაციო განყოფილების მთელი მუშაობა მიმართული იყო ადგილკომებსა და სხვადასხვა ადგილობრივ უჯრედებთან მჭიდრო კავშირის დამყარებისაკენ, რაც მიღწეული იქნა წარმოებათა ხშირი დათვალიერებით, ყოველდღიური მუშაობის წარმოების შესახებ საინსტრუქციო ცირკულიარებს გაგზავნით და გამგეობის წევრთა სხვადასხვა ადგილზე მიმაგრებით მუშაობის გაცხოველების მიზნით. საანგარიშო პერიოდის პირველ თვეებში კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შემდეგ, როცა დაიწყო პროდუქტების თანდათან გაძვირება და არსებული ხელფასი ვერ აკმაყოფილებდა მუშათა მოთხოვნილებებს, თავი წამოყო საკითხმა მუშათა ნივთიერი მდგომარეობის უზრუნველყოფის შესახებ და კავშირის გამგეობაც ხშირ-ხშირად ათვალიერებდა წარმოებებს, რათა მუშებთან ერთად გაერკვია სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობა და შეეტანა მათში ოპტიმისტური სულიერი განწყობილება. მართლაც მუშები ამას შემდეგ ადვილად ურიგდებოდნენ თავის მძიმე მდგომარეობას; შემდეგ, როცა ხელფასი გადიდდა, ეს საკითხიც ამოიწურა, მაგრამ მალე თავი წამოჰყო არა ნაკლებ მწვავე და მნიშვნელოვანმა საბინაო საკითხმა, რომლის გადასაწყვეტად გამგეობას მასებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის გაბმა დასჭირდა.

საანგარიშო პერიოდში გამგეობის მიერ ჩატარებული იქნა სულ 25 სხვადასხვა კამპანია, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი იყო ინდივიდუალურ წევრობაზე გადასვლა. მრავალმა ადგილკომმა ეს მუშაობა ჩინებულად ჩაატარა და პირველ ოქტომბრისათვის კავშირში შემავალი ყველა წარმოება, სახელმწიფო ქაღალდის დამზადება, ექსპედიციის გარდა, გადავიდა ინდივიდუალურ წევრობაზე.

მბეჭდავთა მეორე ყრილობამდე არ იყო დამყარებული სათანადო კავშირი სრ. რუს. მბეჭდავთა კავშირის ცენტ. კომიტეტთან. ამ საანგარიშო პერიოდში ც. კომიტეტთან კავშირი შესამჩნევად განმტკიცდა, ხოლო შემდეგისათვის იგი უფრო უნდა გაღრმავდეს.

წარსულ ყრილობაზე ხაზგასმული იყო, რომ მაზრებთან გამგეობას არ ჰქონდა მჭიდრო კავშირი და ამიტომ ახალ გამგეობას დაევალა გაეფართოებია ამ მიმართულებით მუშაობა და რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა,—მჭიდროთ დაკავშირებოდა მაზრებს.

ახალი ც. გამგეობა მეორე ყრილობის დირექტივებს თანდათანობით ცხოვრებაში ატარებდა. ამჟამად ც. გამგეობა აერთებს 4 სამაზრო ადგილკომს: ბათომს 108 წევრით, სოხუმს—32 წევრით, ქუთაისს—34 წევრით და ფოთს—6 წევრით.

კავშირის მიერ ჩატარებული კამპანიები და ყველა განყოფილებათა მუშაობა სწარმოებდა ს. პ. კ. საბჭოსთან სრული შეთანხმებით და საბჭოს ხელმძღვანელობით.

ქალთა შორის მუშაობის გასაცხოველებლად ცენტ. გამგეობაში კოოპტაციით მოწვეული იქნა ამხ. მიხნევიჩი. გარდა ამისა საორგან. განყოფილება იწვევდა კრებებს, რომელთაც სხვადასხვა ობიექტიურ მიზეზების გამო ქალები ვერ ესწრებოდნენ.

საერთოდ ქალები პოლიგრაფ. წარმოებაში ნაკლებათ არიან, რითაც აიხსნება ქალთა შორის სპეციალური მუშაობის უწარმოებლობა.

ამ ჟამად ყოველ წარმოებაში არის დელეგატი ქალი, რომელიც მონაწილეობას იღებს ქალთა-განყოფილების მუშაობაში.

მუშაობა ახალგაზრდებს შორის გაცხოველება სრ. საქ. პროფ. კავშირთა მესამე ყრილობის შემდეგ, რომლის დადგენილების თანახმად ს. პ. კ საბჭომ წინადადება მისცა ცენტ. გამგეობას ჰყოლოდა ჯამაგირიანი მომუშავეები ახალგაზრდებს შორის.

რადგან კავშირს ახალი მუშაკის დასაქირავებლად სახსარი არ გააჩნდა, მუშაობა ახალგაზრდებს შორის დაეკისრა ამხ. მირზოიანს, რომელსაც სამ დღეს კვირაში უნდა ეწარმოებია ახალგაზრდებთან მუშაობა. ამ ზომების გატარების შემდეგ ახალგაზრდებს შორის მუშაობა თანდათან უმჯობესდება. იკრიბება სხდომები ადგილკომში მომუშავე ახალგაზრდებისაგან და სხვა.

სწარმოებდა აგრეთვე მუშაობა უპარტიო ახალგაზრდებს შორის, რომელნიც სისტემატიურად დაიარებიან უჯრედების ყოველკვირეულ სხდომებზე.

ამ უკანასკნელ ხანებში დამყარდა კავშირი სრ. რ. მბეჭდავთა კავშირის ახალგაზრდების წარმომადგენლებთან სხვადასხვა ცირკულიარების იქიდან გამოგზავნის და აქედან ანგარიშის და ოქმების გადაგზავნის საშუალებით.

ც. გამგეობას მჭიდრო კავშირი აქვს ახალგაზრდებთან, რომელთა შორის მომუშავე ამხანაგი ესწრება ც. გ. ყველა სხდომებს და მონაწილეობას ღებულობს დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარკვევაში;

სამაზრო ადგილკომებშიაც ახალგაზრდობა ჩაბმულია როგორც წარმოების, ისე კავშირის მუშაობაში.

საბჭოთა მუშაკების კავშირის სრ. საქართველოს მესამე ყრილობა

მეექვსე სხდომა

კოოპერაცია

(მომხსენებელი ამხ. მოვშენზონი)

მომხსენებელი ვრცლად არკვევს კოოპერაციის მიზნებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში, რომელიც კოოპერაციას წინ უყენებს ახალი ამოცანების მთელ რიგს და ასხვავებს მას ბურჟუაზიული ქვეყნების კოოპერატიულ მოძრაობისაგან. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღებისთანავე კოოპერაციამ თავის არსებობის უმთავრეს დანიშნულებად დასახა ბრძოლა და კონკურენცია კერძო ბაზართან და წარმოებასთან. მიუხედავადათ იმისა, რომ კოოპერაცია ნივთიერად სრულიად ფეხმოუმაგრებელი იყო და სამოქალაქო ომიდან სრულიად განადგურებული გამოვიდა, კოოპერაციამ შესძლო კერძო ბაზრის და თუ წინად, მეფის რეჟიმის დროს იგი კერძო მწარმოებელთა მაჩანჩალა იყო, დღეს იგი ბაზარზე ასრულებს მოკარნახის როლს და არის ერთი უდიდესი ფაქტორი საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური აღორძინების. მომავალში კოოპერაციას ჩვენში დიდი პერსპექტივები აქვს, თუ მშრომელი მასა სათანადო ყურადღებით მოეპყრობა მას.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით განმარტავს, თუ როგორ უნდა იყოს საკავშირო მასის კოოპერაციისადმი დამოკიდებულება, როგორი ურთიერთობა უნდა არსებობდეს საკავშირო ორგანოებსა და კოოპერაციას შორის.

მომხსენებელი მოითხოვს, რომ კავშირის არც ერთი წევრი არ უნდა დარჩეს კოოპერაციის გარეშე, სადაც უნდა გროვდებოდეს მუშის ხელფასისაგან გადარჩენილი თანხა საბრუნავ საშუალებათა გასადიდებლად.

მოხსენების დასასრულ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც კავშირის ყოველ წევრს ევალება აქტიური ხელის შეწყობა კოოპერაციისათვის.

კოოპერაციაზე რეზოლიუციის მიღების შემდეგ ყრილობა გადადის ახალი ცენტრალური გამგეობის არჩევნებზე.

ახალი ცენტრალური გამგეობა.

ყრილობა ერთხმად იღებს კომფრაქციისგან წამოყენებულ ამხანაგების სიას ახალ ცენტრალურ გამგეობაში.

გამგეობაში შედიან ამხანაგები: მელიქოვი, მოვშენზონი, კალანდაძე, ატოევი, აივაზოვი, შამახია, ცინცაძე, ტერ-ათაბეგოვი, ემელიანოვი, ილინსკის ქალი, გასვიანი, თურქია, ხოშტარია, მიკირტუმოვი, კარაპეტიანი, გოგიჩაიშვილი, ლაღაზიძე, ღლონტი, ბარატინოვი, ჯანიბალჩიევი, ლეჟავა და დარსულოვი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: კორძაია, ოგოროდნოვი, რუხაძე, თუმანოვი, ზარაპოვი, სარიევი, ანსონი და ჭიკაშვილი.

საბჭოს პლენუმში არჩეულია ცენტ. გამგეობის შემადგენლობა სამი ამხანაგის გამოკლებით.

დასასრულ თავმჯდომარე, უსურვებს რა ყრილობის დელეგატებს მიღებულ დადგენილებათა გასატარებლად ნაყოფიერ მუშაობას, ყრილობის უკანასკნელ სხდომას დახურულად აცხადებს.

დელეგატები ინტერნაციონალის სიმღერით იშლებიან.

სახალხო სახლის ქართული დრამის შესახებ *)

წინასწარი მუშაობის დასრულების შემდეგ ტფილისის ალმასკომის პოლიტ-განათლების განყოფილება შეუდგა იმის ზრუნვას, რომ სახალხო სახლის ქართული დასი ყოფილიყო აყვანილი სახელმწიფო მომარაგებაზე. ამ შემთხვევაში პოლიტ-განათლების განყოფილება ხელმძღვანელობდა ორი მოსაზრებით: უპირველეს ყოვლისა მას საჭიროდ მიაჩნდა სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი დასი გამოეყენებია იმ მიზნებისათვის, რომლის განხორციელებასაც ისახავს საბჭოთა ხელისუფლება სათეატრო საქმეში. ეს კი მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როდესაც დასი მის, პოლიტ-განათლების განყოფილების, უშუალო იდეიური გავლენის ქვეშ დადგებოდა,—წინააღმდეგ შემთხვევაში. შემოსავალზე დამოკიდებული დასი იმ მიზნით, რომ შემოსავალი გაედიდებინა, იძულებული იქნებოდა ისეთი პიესები დაედგა სცენაზე, რომლებიც დააკმაყოფილებდენ შეძლებული კლასების გემოვნებას, რასაც პოლიტ-განათლების განყოფილება ვერ, შეურიგდებოდა. მეორე მოსაზრება კიდევ ის იყო, რომ ქართული დასის თუ მთელი შემადგენლობა არა, ნაწილი მაინც უზრუნველეყო ქონებრივად და მით საშუალება მიეცა ამ დასისათვის უფრო ენერგიულად და ხალისით მოჰკიდებოდა თავის საყვარელ საქმეს.

პოლიტ-განათლების განყოფილებამ ამ მიმართულებით დიდი შრომა გასწია:

შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა, მიიღო დახმარება განათლების სახალხო კომისარიატიდან, რომელმაც სავსებით გაიზიარა პოლიტგანათლების განყოფილების შეხედულება ამ საკითხზე, შემდეგ ყოველმხრივად დასაბუთებული და კერძოთ ამ საკითხის განსახილველად არჩეულ კომისიის მიერ შედგენილი ვრცელი მოხსენება წარუდგინა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

საგულისხმოა, რომ ფინანსთა კომისარმა, რომელსაც ეს შუამდგომლობა გადაეგზავნა განსახილველად, მეტად სასურველი რეზოლიუცია დაადვა და შუამდგომლობის დაკმაყოფილებას აუცილებლად სთვლიდა. ერთი სიტყვით, ქართული დასის სახელმწიფო მომარაგებაზე აყვანის საკითხი იმ ზომამდე მივიდა, რომ იმის დადებითად გადაწყვეტა რამოდენიმე დღის ვადაში უნდა მომხდარიყო, მაგრამ ქართულ დასის გამგეობამ, რაღაც მიზეზების გამო, პოლიტ-განათლების განყოფილების მიერ აღძრული შუამდგომლობის დაკმაყოფილება თავისათვის არა სასურველი დაინახა და შეუდგა სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფო სუბსიდიის ძიებას.

ამ მცირე ნაკვეთიდან ყველასათვის ნათელი უნდა იყოს ის, რომ პოლიტ-განათლების განყოფილება არც ისე გულგრილად ეპყრობოდა ქართული დასის ბედ-იღბალს, როგორც ეს ჰგონია ამავე დასის გამგეობას თავმჯდომარეს ს. ახვლედიანს. თუ ქართული დასის უზრუნველყოფის საკითხი დღესაც არ არის გადაწყვეტილი, ეს მიტომ, რომ ქართული დასის გამგეობა უდროოთ საქმეში ჩაერია და ახალ-ახალ გეგმები სთხზა, რის გამო საკითხი ისე გართულდა, რომ დღემდისაც ვერ გადაწყვეტილა. ასეთი არის მოკლე მიმოხილვა იმ შრომისა, რომელიც გასწია პოლიტ-განათლების განყოფილებამ და ტფილისის ალმასკომმა სახალხო სახლის მომავალი მოქმედების სასურველ დონეზე დასაყენებლად. როდესაც რუსული დასის 50 პროც. დახმარება ხაზინამ იკისრა და როდესაც ქართული დასის სახელმწიფო მომარაგებაზე აყვანის საკითხი მკვიდრ ნიადაგზე დადგა, ბუნებრივად დაიბადა ერთი საკითხი, რომელმაც შეხლა-შემოხლა გამოიწვია ამ ორ დასსა და პოლიტ-განათლების განყოფილების შორის. დაიბადა საკითხი, თუ ვის განკარგულებაში უნდა გადასულიყო ის თანხა, რომელიც შემოვიდოდა თეატრის სალაროში, ქართულ-რუსულ წარმოდგენებიდან. პოლიტ-განათლების განყოფილების შეხედულება ამ საკითხზე ნათელი და მარტივი იყო, რადგან ქართულ-რუსული დასები იღებენ ხაზინიდან დაახლოვებით მათი თვიური გასავლის 50 პროც., დანარჩენი 50 პროც.-ის დასაფარავად მათ მიეცათ შემოსავლის 70 პროც., ხოლო დანარჩენი 30 პროც. კი უნდა შევიდეს ალმასკომის სალაროში იმ უამრავ ხარჯების შესამსუბუქებლად, რომლებსაც ეწევა ალმასკომი სახალხო სახლის შესანახავად.

ამ ძირითად საკითხის მიხედვით იყო გამომუშავებული დასებთან ხელშეკრულებათა გეგმები, რომლებიც წარედგინა მათ ხელმოსაწერად და რომელზედაც მათ ხელი არ მოაწერეს, რადგან 50 პროც. სახალხო სახლის სასარგებლოდ გაღება მათ უკანონოთ დაინახეს. იმ მიზნით, რომ ყველასათვის ცხადი იქნეს, თუ რამდენათ საფუძვლიანი იყო პოლიტ-განათლების განყოფილების მოთხოვნა და დასებს ეხადათ სახალხო სახლის სასარგებლოთ 30 პროც., ზედმეტად არ მიგვაჩნია მივუთითოთ იმ ხარჯებზე, რომლებსაც ეწევა ალმასკომი სახალხო სახლის შესანახად.

1. სახალხო სახლს ჰყავს მუშა-მოსამსახურეთა მკვიდრი შტატი 20 კაცისაგან შემდგარი, რომლების შენახვა თვიურად ჯდება 396 მან. 2. თეატრის გათბობა თვეში 300 ფუთი მაზუთი 600 მან. 3. განათება 280 მან. 4. ინვენტარის შეძენა და განახლება თვეში დაახლოვებით 50 მან. 5. მიმდინარე სამეურნეო ხარჯები 30 მან. 6. ინვენტარის ამორტიზაცია თვიურად 40 მან. **სულ 1.396 მანეთი.**

ასეთი არის დაახლოვებით სახალხო სახლის გასავლის თვიური ჯამი. თავის თავად ცხადია, რომ ზემოაღნიშნულ გასავლის დაფარვას დასებს არავინ დააკისრებდა, მაგრამ ალმასკომის ხარჯების შემსუბუქების სურვილიც არ შეიძლება ჩაეთვალოს ვინმეს მომაკვდინებელ ცოდვათ. სახალხო სახლის შტატს ინახავს ალმასკომი, ყოველგვარ გასავალს ამ სახლის შესანახავად ალმასკომი ეწევა, და ასეთ პირობებში პოლიტ-განათლების განყოფილება სახალხო სახლის სცენაზე აყვანილ ქართულ, რუსულ დასების შემოსავლის რამოდენიმე პროცენტით დაბეგვრას აუცილებლად სთვლის, მით უმეტეს, რომ ერთი დასი უკვე ღებულობს ხაზინიდან 50 პროცენტ. დახმარებას და ქართული დასისათვის სუბსიდიის მიცემის საკითხიც მოსალოდნელია დადებითად გადაწყდება. შეიძლება შემოსავლის 30 პროცენტის გაღებამ ქონებრივად ოდნავ შეავიწროვოს ქართულ-რუსულ დასების თანამშრომლები, მაგრამ იმ ორგანოს, რომელსაც კისრად აწევს დიდ ხარჯებთან დაკავშირებული ათასგვარი რთული და უფრო სერიოზული მოვალეობანი, არ ძალუძს ჩხატედ მოეკიდოს თავის ბიუჯეტს და სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტის დროს იხელმძღვანელოს ამა თუ იმ ჯგუფების ინტერესებით.

ასეთი არის იმ მუშაობის მოკლე ისტორია, რომელიც გასწია პოლიტ-განათლების განყოფილებამ სახალხო სახლისათვის როგორც პროლეტარულ-კულტურული დაწესებულების ნორმალური ტეხნიკური და სხვა პირობების შესაქმნელად. თქმა არ უნდა ამ თეატრის ცხოვრებაში კიდევ არის დარჩენილი ცოტაოდენი ნაკლი, მაგრამ ამ ნაკლის თავიდან აშორება ალმასკომის და პოლიტ-განათლების განყოფილების მორიგი საკითხი არის და სულ მცირე ხანში დასრულდება.

ბევრი რამ საყურადღებო შეიძლებოდა გვეთქვა სახალხო სახლის შესახებ, მაგრამ გარემოება ხელს არ გვიწყობს, რის გამო წერილის დასასრულს, იმ პირთ, რომლებიც გაზეთების ფურცლებზე იჩენენ სახალხო სახლზე უსაზღვრო „მზრუნველობას“, ურჩევს მეტის ყურადღებით მოეპყრან თავიანთ მოვალეობას და დაუსაბუთებელ და უმართლო საყვედურების წერით ნუ შეჰყავთ მკითხველი შეცდომაში.

ტფ. ალმასკომის თავმჯდომარე
ლ. ხუხიშვილი.

---

*) იხ. „კომუნისტის“ № 269.

მუშათა ცხოვრება

მუშა-მწერლის გიგო ხეჩუაშვილის 25 წ. მოღვაწეობის იუბილე.

მუშა-მწერალს გიგო ხეჩუაშვილს (თემმისხეველს) ოცდა ხუთი წელიწადი შეუსრულდა, რაც სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობს. ამის გამო შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც გადასწყვიტა ამ მოკლე ხანში გადაუხადოს მას შესაფერი იუბილე. დაწვრილებითი ცნობები გ. ხეჩუაშვილის მოღვაწეობისა და კომისიის შემდგენლობის შესახებ გამოქვეყნებული იქნება შემდეგში.

რას ვავალებთ ახალ საბჭოს

იმის, რის გაკეთებაც უნდა შესძლოს ახალმა საბჭომ, დეტალურად აღნიშვნა ამ პატარა წერილში ძალიან ძნელია და მას მე აქ არც შეუდგები. აქ ჩვენ გვინდა მივუთითოთ ახალ საბჭოს მხოლოდ იმაზე, რომ მისი მუშაობა არ უნდა სცილდებოდეს საბჭოთა პოლიტიკურ და ეკონომიურ პროგრამას.

უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა და საზოგადოდ ყველა დაბალ მოსახლეობის ღარიბ ფენების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს, როგორც ეკონომიურ დარგში ისე კულტურულშიაც.

იაფი საქონელი, პური, წყალი, ბინა, მანუფაქტურა განათება, აი რას მოითხოვს სასიცოცხლო ინტერესები ჩვენი მუშების და გლეხებისა, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ დეპუტატებმა თავიანთ მუშაობის დროს.

ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის სათანადო დონემდე აყვანა; სოფელსა და ქალაქს შორის კავშირის გაბმა; მუშებისა და გლეხების დაახლოვება და მათ შორის ისეთი ობიექტიური პირობების შექმნა, რომლითაც შესაძლებელი იქნება მათ შორის სრული ერთობა.

სიძვირის და საქონელზე სისტემატიური ფასების ზრდის შეჩერება.

უმუშევართა და ინვალიდთა ყოფა-ცხოვრების შეძლებისდაგვარად გაუმჯობესება.

შეძლებულთა და ბურჟუა-კაპიტალისტების დაბეგვრა.

მუშა-მოსამსახურეთა განთავისუფლება ზოგიერთ სახელმწიფო ხარჯებიდან და ამ ხარჯების გადატანა შეძლებულ კლასებზე.

ამას გარდა, ჩვენს დეპუტატებს ევალებათ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მთლიანობის დაცვა, მისი შემოსავლიანობის გადიდება და ხარჯების ეკონომია, მაგრამ არა შრომის ხელფასზე, არამედ სხვა დარგებში.

მასთან ერთად, თვით ქალაქში ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობიან და პატიონან მოქალაქეთა ჩაბმა-მიმაგრებას საბჭოთა აღმშენებლობით მუშაობასთან. აი ჩვენი მუშები რას მოითხოვენ ახალ საბჭოსაგან.

სტამბის მუშა ქ.

სახალხო სახლს შეშა არა აქვს

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

შემჩნეულია სხვათა შორის, რომ სახალხო სახლში წარმოდგენებზე მოსული მუშები საყურებელ დარბაზში სხედან პალტოებში და ზედა-წამოსასხამებში, რაც დაუშვებელია სხვა და სხვა მოსაზრებებით. რას ჰფიქრობს თეატრის ადმინისტრაცია? ეს ხომ ცუდი მოვლენაა. ზამთარი სულ ახლოა, და წარმოდგენების მსვლელობა შეუძლებელი გახდება, თუ დარბაზი და სცენა არ გაითბო, ჩვენს მუშებს სიცივე შეაწუხებს და ადვილი წარმოსადგენია, რომ დარბაზში სიცივისა გამო შეუძლებელი იქნება პიესის დადგმა და მოსმენაც. ქალაქის აღმასკომს მართებს მიაქციოს სერიოზული ყურადღება ამ გარემოებას და მიიღოს სათანადო ზომები, რომ სახალხო სახლის დარბაზი და სცენა დროზე გაითბოს.

მუშკორი მელითონე.

არ არის წესრიგი

წითელ არმიელთა ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის თეატრი „კატორ"-ი, ტფილისში მყოფ მრავალ წითელარმიელებს იზიდავს.

ამ თეატრით წითელარმიელები და აქ მოსიარულე მუშები ძალიან კმაყოფილი არიან.

თეატრი ყველასათვის ხელმისაწვდომი, გასაგები და საინტერესოა, რის გამოც მუშათა მასა იქ დროს მხიარულად ატარებს.

იქ იმართება, სალამო-სპექტაკლები, კინო-სურათები, ინსცენიროვკები, პიესები და ბევრი სამხიარულო გასართობები საგიტაციო-საპროპაგანდო ხასიათის.

ნამდვილი დასასვენებელი ადგილია.

მხოლოდ ერთი ნაკლია, არ არის წესრიგი.

თეატრში წარმოდგენის დროს ხმაურობაა, სვამენ ხოლმე მზესუმზირას კაკალს, სწევენ პაპიროსებს, მართავენ კერძო ლაპარაკებს და მოქმედების დროს შედიან და გამოდიან.

თეატრის შენობაში ხშირად მართავენ სასიყვარულო პაემანებს და ხშირად ბევრი მოქალაქეები მთვრალიც მოდიან ხოლმე.

განა შეიძლება თეატრში ასეთი უწესრიგობა?

ადმინისტრაცია! მიაქციე ყურადღება.

მუშკორი მარხი.

გლეხი ქარხანაში

ამ დღეებში შემთხვევა მომეცა მოწამე გავმხდარიყავი ორთაჭალის ერთ ერთ საპნის ქარხანაში გლეხკაცისა და მუშების ერთმანეთთან საუბარისა. სოფლელი მუშა აქ შემთხვევით მოსულიყო თავის ნაცნობ მუშასთან, ხოლო ქარხნის რამდენიმე მუშა მას ტკბილად ესაუბრებოდა სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. ერთი ეს მითხარი, ამხანაგო!—ეკითხება გლეხი მუშას,—რამდენი გიწევს დღიური ხელფასი?

— „ერთი საქონლის მანეთი".— მიუგო მუშამ.

— როგორ, რად გაინტერესებთ ეს თქვენ?—ეკითხება მას მუშა.

— „მე მინდა გავიგო,— ამბობს გლეხი, „რატომ არა აქვს ჩვენს ნამუშევარს ფასი და რატომ ეგრე ძვირობს თქვენი ნაწარმოები?!

მუშა საკმაოდ უმარტავს გლეხს სოფლისა და ქალაქის პროდუქციის ფასების უწონასწორობის მიზეზებს და შემდეგ დასძენს, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენმა მუშურ-გლეხურ მთავრობამ ძალიან დიდი ყურადღება მიაქცია სოფლის ასეთ აუტანელ მდგომარეობას და მთელი ენერგიით ცდილობს, რომ გლეხებისათვის მოსახმარ ქალაქის ნაწარმოებზე, რაც შეიძლება დაწეულ იქნეს ფასები, რომ ის მისაწვდომი გახდეს სოფლელებისათვის.

გლეხი ამით დიდი კმაყოფილებას გამოსთქვამს და ბოლოს ის თავის სურვილს უზიარებს მუშას, რომ ქალაქის საბჭოში არჩეულ იქნენ მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტები, რომელნიც მტკიცე დ შეუპოვრად დგანან მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვის სადარაჯოზე და მარჯვე ხელით აღადგენენ ჩვენი ქალაქის და სოფლის მეურნეობას. ქალაქის მუშის და სოფლის მუშის დაზლვება და მჭიდროდ შეკავშირება აუცილებელია და ჩვენ ამას უსათუოდ გავატარებთ ცხოვრებაში"-ო ამბობს ჩვენი მუშა და ძმურად ემშვიდობება გლეხს.

მუშკორი მ. ა.

მუშათა ქრონიკა

— **ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი.** ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავის აღსანიშნავად ქ. ზესტაფონში მუშათა კლუბს, რომლის აგება დაწყებულია, დაერქვა ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელი.

— **ბრძოლა უმუშევრობასთან.** ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა სრ. საქართველოს მესამე ყრილობამ გაითვალისწინა უმუშევრობის ზრდა, რომელიც სხვათა შორის გამოწვეულია მუშების უმართებულოდ დაქირავებაში და დათხოვნაში და გადასწყვიტა იქონიოს მტკიცე კავშირი შრომის ბირჟასთან ზემოხსენებულ მოვლენებთან ბრძოლის საწარმოებლათ.

— **სამკითხველოები ახალქალაქის მაზრაში.** ახალქალაქის მაზრაში არის 8 ქოხი სამკითხველო, რომელთაგან 6 სავსებით მოწყობილია. მკითხველთა დიდი უმრავლესობა მუშებია.

— **წითელი დროშები მშრომელ გლეხობას.** 7 ნოემბერს ქარხანა „პროლეტარი"ს საშეფო კომისიამ სოფ. ახალ ზაგდანოვკას და ყანდაურის მშრომელ გლეხობას მრავალრიცხოვან მიტინგზე გადასცა წითელი დროშები.

მუშათა წერილებიდან.

საბინაო კოოპერატივი მართლაც უგეგმოდ მუშაობს.

(აღმასკომის საყურადღებოდ).

ამას წინად გაზ. „მუშა" სრულ ჭეშმარიტებას სწერდა, როდესაც ამბობდა, რომ „საბინკოოპს" არა აქვს თავის მოქმედების არც გეგმა და არც წესდება"-ო. ამ უგეგმობამ და წესდების უქონლობამ კი ბევრი ზიანი და ზარალი მოუტანა იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელთაც უხდებათ ცხოვრება „საბინკოოპის" გამგებლობის ქვეშ.

საბინაო კოპერატივი ბინის ქირებს „ბეჯითად" აგროვებს და შენობის შეკეთებაზე არც კი ფიქრობს და სახლები კი ინგრევა; საერთო კიბეების განათებაზე, რომელიც მას, როგორც სახლის მოიჯარადრეს, კანონით ევალება, ის უარს აცხადებს. ამიტომ საღამოობით ამ კიბებით სარგებლობა შეუძლებელი ხდება. ჯოჯოხეთურ სიბნელეში მდგურები ცხვირ ფეხს იმტვრევენ.

ჩვენს „საბინკოოპს" აშკარად ეტყობა არა თუ „უგეგმობა და უწესდებობა", არამედ ელემენტარულ საბინაო კანონების არცოდნაც.

ნეტავ, რას ფიქრობს ამის შესახებ ჩვენი აღმასკომი?!

მუშკორი **ნიანგისხევური.**

მუშათა ხაფანგები უნდა მოვსპოთ.

„დიდუბე მუშათა რაიონია, მაგრამ მასთან ის სამიკიტნოთა რაიონიც არის"-ო, ამბობდა ჩვენ კრებაზე ამხ. მუშკორი. მართლაც, აქ თითქმის ყოველნაბიჯზე თქვენ დაინახავთ სამიკიტნოებს და ყოველ სამიკიტნოში ხუთ-ექვს მუშას მაინც, რომელნიც ყომარბაზობაში და ლოთობაში ფლანგავენ თავის შრომის ხელფასს და მათი ცოლშვილი კი შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალი რჩება.

ეს კი ასე არ უნდა ხდებოდეს. ეს სამიკიტნოები აუცილებლივ უნდა დაიკეტოს. ამაზე ბევრი დაიწერა და მოუთმენლად ველით სათანადო შედეგებს.

საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ზომებია აღმასკომის მიერ მიღებული მუშათა რაიონებში სამიკიტნოების დაკეტის შესახებ.

მუშკორი **დიდუბელი.**

საბჭოთა სასამართლოში

კირსანოვას საქმე.

21 ნოემბერს, მუშათა სასახლეში, აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლომ ამხ. შამახიას თავმჯდომარეობით დაიწყო კირსანოვას საქმის გარჩევა; უკანასკნელს ბრალი ედება „მაჰანკლობაში".

კირსანოვამ თავის თავი დამნაშავეთ არ აღიარა. დილის და საღამოს სხდომებზე დაკითხულ იქნენ მოწმეები. მოწმეების მეტი ნაწილი მიუთითებს იმაზე, რომ კირსანოვასთან „მოდიოდენ და მიდიოდენ" კარგათ ჩაცმული ქალები; მოდიოდენ მამაკაცებიც. რა ხდებოდა კირსანოვას ბინაზე, არავინ არ იცის.

გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ რევოლიუციამდე კირსანოვასთან მოდიოდენ მეფის მოადგილის ყაზახები, რომლებიც ცხოვრობდენ სასამართლოს ქუჩაზე № 7 სახლის მახლობლათ.

კირსანოვა ამ მოვლენას ხსნის მით, რომ მას ჰქონდა სასადილო.

სასამართლო დაინტერესდა იმ ქალიშვილის ისტორიით, რომელიც კირსანოვამ წაიყვანა ქუჩიდან, გამოაწყო და დააბინავა. კირსანოვა აცხადებს, რომ ქალიშვილი მან გაიცნო გამასწორებელ სახლში, სადაც პირველი დაპატიმრების დროს გაატარა 8 დღე. ეს ქალიშვილი იქ იყო თავის უფროს დასთან.

გამოსვლის შემდეგ კირსანოვა შეხვდა ამ ქალიშვილს ბაზარში, შეებრალა ის და წაიყვანა თან. ქალიშვილმა იცხოვრა მასთან 2 დღე, ხოლო შემდეგ სადღაც წავიდა. მოწმე სემიონოვი აცხადებს, რომ კირსანოვასთან დადიოდა მრავალი ხალხი. სვამდენ, თვრებოდენ, ხმაურობდენ. სემიონოვმა იცის, რომ კირსანოვას ოთახში მთელი ერთი თვის განმავლობაში ცხოვრობდა ვიღაცა ქერა ქალი. როდესაც სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები მივიდენ კირსანოვას დასაპატიმრებლად, ეს ქერა ქალი გადმოვიდა მეორე სართულიდან აივანთან ამოსული ხის საშუალებით ეზოში, ხოლო როდესაც თანამშრომლები წავიდენ, ამავე გზით დაბრუნდა უკან. ამას ადასტურებს მოწმე სემიონოვაც, რომელმაც ამის შესახებ გაიგო აკრობატი ქალის სიტყვით. მოწმე დურკული, სახლის პატრონის ცოლი—აღნიშნავს, რომ მეზობლებისაგან მან იცის, რომ კირსანოვა ეწეოდა უზნეო ცხოვრებას.

სასამართლო ეკითხება ერთ-ერთ მოწმეს იმის შესახებ, თუ რატომ დადიოდა ის კირსანოვასთან ვიღაც ქალთან ერთად. მოწმე კატეგორიულათ აცხადებს, რომ ეს მოხდა უბრალო შემთხვევის გამო: მას ფეხსაცმელზე რეზინი ასძვრა. ამ ბინაში აღმოჩნდა ფეხსაცმელის მოხელე,—ეს იყო და ეს.

დაგვიანების გამო, მოწმეების შემდეგი დაკითხვა გადაიდო მეორე დღისათვის.

— **შეფობა ოსი ბავშვების სახლზე.** განათ. კომ. სასკოლო ასაკამდე აღზრდის განყოფილებამ შუამდგომლობით მიმართა საქ. წითელი ჯვრის საზოგადოებას, მიიღოს შეფობა კავკავიდან ლტოლვილ ოს ბავშვების საბავშვო სახლზე.

— **ბოსლევის 4 წლიან სკოლის გადაკეთება 7 წლიან სკოლად.** განათლების კომისარიატმა ნება დართო შორაპნის სამაზრო განათ. განყოფილების ბოსლევის თემის 4 წლიანი სკოლა გადააკეთოს 7 წლიანად.

— **სიმულიაციის წინააღმდეგ.** დამზღვევ კასამ დაადგინა: დამზღვევ კასის წევრთა სიმულიაციის (იქვით ავადმყოფობის) წინააღმდეგ დაარსოს განსაკუთრებული საკონტროლო ექიმთა კომისია.

— **სანატორია „არაზინდო".** დამზღვევ კასამ შუამდგომლობით მიმართა საქ. პროფსაბჭოს, რათა გამოცემული იქნას დადგენილება იმ დაწესებულებების საყურადღებოთ, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს მუშათა სანატორიის „არაზინდოს" აგების საქმეში.

— **ჯარიდან განთავისუფლებულ უმუშევრების შესახებ.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა, უმუშევრებისათვის დაარსებულ არტელებში, ჯარიდან განთავისუფლებული წითელ არმიელები მიღებულნი იქნენ პირველ რიგში.

— **სამკურნალო დახმარება.** დამზღვევ კასამ დაადგინა: სამკურნალო დახმარება გაეწიოს იმ დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა და უმუშევართა ოჯახების წევრთ, რომელნიც არ აღემატებიან 16 წელს. გამონაკლისი შეიძლება, ამა თუ იმ ოჯახის წევრის შრომის უნარის უქონლობის დროს. ეს დადგენილება არ ვრცელდება დაზღვეულთა ცოლზე და დედ მამაზე

— **საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების რაოდენობა.** საქართველოს რესპუბლიკაში ჯერ-ჯერობით სულ მოწყობილია საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტები: **სასოფლო** შვიდას თერთმეტი (711), სათემო ოთხას ოც და სამი (423) და სამაზრო ცხრა (9).

— **დახმარება წითელ-არმიელების ოჯახის წევრებს.** ოქტომბერში საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდან ტფილისში დახმარება მიიღო 137 წითელ-არმიელის ოჯახის წევრებმა, რიცხვით ორას ოთხმოცდა თერთმეტმა კაცმა.

— **გაძლიერებული პენსია საშა წულუკიძის მამას.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა რევოლიუციონერის, განსვენებული საშა წულუკიძის მამას, გიგო წულუკიძეს, დაუნიშნა გაძლიერებული პენსია.

— **სასადილო უმუშევრებისათვის.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა, რომ დამზღვევ კასიდან მოხსნილ დაზღვეულ უმუშევრებს მიეცეთ უფლება ისადილონ უმუშევართა სასადილოში.

— **შრომის ბირჟა.** 21 ნოემბერს შრომის ბირჟაში უმუშევართა გამოცხადება შეჩერებული იყო. ახლად ჩაეწერა—16 კაცი, სამუშაოზე გაიგზავნა—44 უმუშევარი.

— **განაპირა უბანთა ქუჩების შეკეთება.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა შეაკეთოს განაპირა უბნების დაზიანებული ქუჩები. ამ ჟამად სწარმოებს ჩერქეზიშვილის ქუჩის შეკეთება.

შემთხვევები.

— **ბინის გაქურდვა.** 19 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე გაქურდეს მოქალაქე ალექსანდრე დუვსკის ბინა (მცხ. ბოგოსლავის ქ. № 9). წაღებულია რამდენიმე მილიარდის ნივთები.

— **ცეცხლი.** 16 ნოემბერს, ღამით ცეცხლი გაუჩნდა ალბულაღის ყაზარმას, რომელიც სრულებით დაიწვა. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა. სწარმოებს ძიება ცეცხლის გაჩენის მიზეზის გამოსარკვევათ.

— **ქურდი ამხანაგი.** 20 ნოემბერს, ნეკრასოვის ქ. № 6, "გაქურდულ იქნა მოქ. კონსტანტინე ხიმშიაშვილის ბინა მისივე ამხანაგის ტიმოთე არჩვაძის მიერ. წაღებულია ოქროულობა და ტანისამოსი 7 მილიარდის. მიღებულია ზომები არჩვაძის შესაპყრობათ.

თავის მოწამვლა. 10 ნოემბერს თავი მოიწამლა ალექსანდრე ჩიმაკაძემ, რომელიც უკვე გარდაიცვალა. გვამი გარდაგზავნილია მთავარ საავათმყოფოში.

— **შეპყრობა.** 10 ნოემბერს შეპყრობილ იქნა ვიქტორ კიზირია სხვადასხვა ქურდობისათვის. თანვე აღმოაჩნდა ნაპარავი ნივთები.

ქრონიკა

— **მოხსენებები სამალარიო ექსპედიციების შესახებ.** 24 ნოემბერს საღამოს 7 ნახევარ საათზე მთავარ საავადმყოფოს აუდიტორიაში შესდგება სამალარიო სადგურის მორიგი კრება. დღის წესრიგი: 1) სამეგრელოს სამალარიო ექსპედიციის მოხსენება, 2) სამტრედიის რაიონის ექსპედიციის მუშაობის ზოგადი მიმოხილვა; 3) კახეთის სამალარიო ექსპედიციის მუშაობის ზოგადი მიმოხილვა, 4) ყარაიაზის სამალარიო ექსპ მუშაობის ზოგადი მიმოხილვა.

— **ჟურნალი „დროშა".** გამოვიდა სამხატვრო სალიტერატურო ორკვირეული ჟურნალი „დროშა", მეორე ნომერი, რომელშიც მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1. საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირს, 2. გ. დევდარიანი—6 წლის თავი ბრძოლისა და გამარჯვებისა, 3. თ. ეღენტი—საქართველოს წითელი ლაშქარი, 4. ლიტვინოვი—ლენინი, 5. ნ. ზომლეთელი—ქალაქის დილა, 6. ვ. ალექსანდროვსკი—ოქტომბერში 7. მ. ალამაშვილი—კვაჭი კვაჭანტირაძე, 8. სანდრო ეული—ცეცხლის რკალებში, 9. ი. გედევანიშვილი—უწინ და ეხლა, 10. ი. გედევანიშვილი სიტყვა წარმოთქმული მემარცხენე სოც. ფედ. ყრილობაზე, 11. გ მირიანიშვილი—მებრძოლ გმირებს. 12. ს. შანშიაშვილი—სპარტაკ, 13. ფარაონ ტუტანხამონის აკლდამა. ჟურნალი სურათებიანია.

— **საშობაო და სააღდგომო არდადეგების მოსპობა.** განათლების კომისარიატმა დაამტკიცა სოც. აღზრდის მთავარ-მმართველობის პროექტი სკოლებში საშობაო და სააღდგომო არდადეგების მოსპობის შესახებ. ამის ნაცვლად სასწავლო წლის შუა, სახელდობრ თებერვალში, შემოღებული იქნება ერთი თვით სწავლის შეწყვეტა.

— **შტატის დამტკიცება.** საქ. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა განათლების კომისარიატის სამეურნეო განყოფილების ტფილისის შტატები.

ხელოვნება

— პროლეტკულტში დღეს, საღამოს 6 საათზე პროლეტკულტის არენის შენობაში დანიშნულია ბუნებისმეტყველების ლექცია.

— **საბავშვო გამოცემათა გამოფენა.** ახლო ხანში ტფილისში გაიხსნება ფართო მასისათვის გასაცნობათ საბავშვო პერიოდულ გამოცემათა და ბავშვების ლიტერატურული შემოქმედების ნიმუშების გამოფენა.

— **თეატრი სოფლად.** სოფ. საგარეჯოში შესდგა სცენის მოყვარეთა დასი. წარმოდგენების მართვა დაიწყება 25 ნოემბრიდან, განზრახულია ტფილისიდან მიიწვიონ გამოცდილი ხელმძღვანელი.

— **თეატრი კლუბის გახსნა მცხეთაში.** ამ დღეებში მცხეთაში ზეიმით გაიხსნება ამხ. კუჩიშვილის სახელობის თეატრი-კლუბი და ამხ. საშა გეგეჭკორის სახელობის სამკითხველო.

— **„ქეთო და კოტე".** ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე" გადაითარგმნა რუსულ ენაზე. ოპერა დაიდგმება მიმდინარე სეზონში მოსკოვის საოპერო თეატრებში.

— **განათლების კომის. სამხატვრო სალიტერატურო სექცია.** განათლების კომისარიატთან არსებული სამხატვრო-სალიტერატურო სექციაში ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირის წარმომადგენლათ დაინიშნა ა. მდივანი.

— **საბავშვო თეატრის სეზონის გახსნა.** საბავშვო თეატრის წარმოდგენები დაიწყება 28 ნოემბერს, წარმოდგენა წავა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე მორიგეობით. სეზონის გახსნის დღეს წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე დ. ხუციშვილის საბავშვო ახალი პიესა „ნაცარ-ქექია".

— **მუშათა ახალი კლუბი.** ამხ. ბაგრატ მაჩაიძის სახელობის ახლად გახსნილ მელითონეთა კლუბთან შესდგა ქართული დრამატიული დასი მუშებისაგან. განზრახულია წარმოდგენების სისტემატიურათ გამართვა. რეპერტუარი უმთავრესად შემდგარი იქნება რევოლიუციონურ ხასიათის პიესებისაგან.

— **წარმოდგენა პროფკავშირის წევრებისათვის.** შაბათს, 24 ნოემბერს, სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება პროფკავშირის წევრებისათვის ოპერა „ფრადიავოლო".

— **პლეხანოვის თეატრი.** შაბათს, 24 ნოემბერს, რკინის გზის სამმართველოსთან არსებულ რუსულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი „ლოუ" დრამა 5 მოქ

დღის თეატრებში.

— **სახელმწიფო ოპერა.** პირველად ამ სეზონში, რაპოპორტის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება „აიდა".

— **რუსთაველის თეატრი.** თურქული წარმოდგენა.

— **სახალხო სახლი.** წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში ტრ. რამიშვილის პიესა „სტუმარმასპინძლობა". რეჟისორი ბარველი.

— **ცირკი.** მრავალფეროვანი პროგრამა.

პროვინციაში

ქ. ხონი

ამა წლის 4 ნოემბერს შესდგა ხონის მცხოვრებთა საერთო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. გ. ბახტაძე, მდივნობდა ამხ. არ. კაკაბაძე.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარება; 2) სახალხო სახლის მდგომარეობა; 3) დახურულ ეკლესიების შესახებ. პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიპარტკომის პ. მ. მდივანმა ამხ. გ. ბახტაძემ, რომელმაც მოკლედ განუმარტა კრებას ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა და მოუწოდა მათ, რომ ზეიმით ჩაატარონ რევოლიუციის ექვსი წლის თავი.

კრება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამხანაგის მოწოდებას.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარემ, ამხ. ვლ. ნადარეიშვილმა, რომელმაც გააცნო კრებას თუ რა მდგომარეობაშია ხონის სახალხო სახლის შენობა, თუ როგორ ზრუნავენ და ეხმარებიან ამ დიად კულტურულ საქმეს ხონის მუშა-მოსამსახურეები, აგრეთვე გააცნო ის გარემოებაც, რომ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **შალვა ელიავას** დახმარებით მთავრობამ აღმოუჩინა დახმარება ხონის სახალხო სახლს 150 ჩერვონეცით, რის გამო კრებამ ერთხმად დაადგინა ღრმესი მადლობა გამოუცხადოს საქ. სახალხო კომისართა საბჭოს და მის თავმჯდომარეს ამხ. შ. ელიავას.

დასასრულ ილაპარიკა ამხ. ვლ. ნადარეიშვილმა ეკლესიების შესახებ.

კრებამ ერთხმად დაადგინა მეორე და მეოთხე უბნის ეკლესიები დაირღვეს და მთელი მასალა მოხმარდეს ხონის სახალხო სახლს.

გან-კონი

თელავში (აბანოს გახსნა)

ამ ზაფხულს სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი შეუდგა აბანოს აშენებას თელავში ადგილობრივ კომუნალურ მეურნეობის განყოფილების შემწეობით. ოდესღაც თელავში მუშაობდა ორი აბანო, რომლებიც უკვე ორი წელიწადია გაუქმდენ. ჯანსახკომმა მოაწესრიგა ერთი აბანო და გარდა ამისა იქვე ააშენა ახალი ევროპიული აბანოც, მოწყობილი „დუშებით", საორთქლით, ახალი სისტემის ქვაბებით და დეზინფექციური კამერით. ამ არაჩვეულებრივი ტიპის აბანომ პირველად გააოცა მცხოვრებლები, მაგრამ როდესაც ინჟინერმა აჩვენა მოქმედებაში საორთქლე, შემდეგ „დუშები", საიდანაც წყალი „წვიმასავით" მოდის და აუხსნა, როგორ მუშაობს სადეზინფექციო აპარატი და რა დანიშნულება აქვს მას, მაშინ მცხოვრებლები ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ, მით უმეტეს, რომ შესასვლელი ფასი იმდენად მცირეა, რომ მხოლოდ შეშისა და მოსამსახურის ხარჯები დაჰფაროს. გარდა ამისა კვირაში ორი დღე უფასოა ღარიბებისათვის. ამგვარ დიდებულ საჩუქრისთვის თელავი მადლობას უძღვნის საბჭოთა ხელისუფლებას. კერძოდ აღსანიშნავია ღვაწლი ჯანსახკომის ამხ. კუტაიძის და მისი თანამშრომლების ექიმების—ნაზარეთიანის, არვანოვის და ინჟენერ ლუკაშვილის, რომელმაც მოკლე ხანში და მცირე ფულებით ააშენა და მოაწყო ეს აბანო. დიდი მადლობის ღირსია აგრეთვე თელავის კომ გან. გამგე დ. ლუკაშვილი.

თელავის აბანოს მიხედვით კახეთის სოფლებმაც მოიწადინეს თავისთვის აბანოების აშენება. ყვარელში საქმეს უკვე შეუდგნენ, ხოლო წინანდალმა მიიწვია თელავიდან ინჟ. ლუკაშვილი, რომელმაც აღმასკომის თანდასწრებით შეამოწმა აბანოსთვის გამოსადეგი შენობები და გამოარკვია, რომ ყ. საგინოვის დუქნები გამოდგება აბანოსთვის. აღმასკომმა მაშინათვე დაადგინა ეს შენობა აბანოდ გადააკეთოს, რისთვისაც იძლევა ყოველივე საამშენებლო მასალა და მუშებს; ცენტრს სთხოვს მხოლოდ დაეხმაროს აბანოს მექანიკურ მოწყობილობით და ტეხნიკურ ხელმძღვანელობით.

ამგვარივე შუამდგომლობა აღძრეს უდინებმა, ანაგამ და სხვა სოფლებმა. იმედია, რომ ცენტრი დააკმაყოფილებს ხალხის ამ ბუნებრივ მოთხოვნილებას, რადგან, როგორც თქმულია, „საღი სული საღ ჯანშია".

ი. ლ.

ამაშუკეთის თემი (შორაპნის მაზრა)

ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის აღსანიშნავათ, 7 ნოემბერს აქ გაიმართა სათემო მიტინგი ადგ. აღმასკომის ბინაზე. კრებას ხსნის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სევ. კურტანიძე. მან გაარკვია ოქტომბრის მნიშვნელობა, აგრეთვე შეეხო გერმანიის ამბებს. შემდეგ გამოდის მოსკოვის გამოფენაზე ყოფილი, გლეხი ს. კაპანაძე და თავისი გლეხური სიტყვებით უზიარებს ხალხს გამოფენიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს. კრებამ მოხსენებათა გამო გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

პ. შ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარულად

ს. ს. ს. რ. სამაზრო აღმასკომებს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ექიმ-ვეტერინარებს.

იშვიათია სოფლად ისეთი ოჯახი, რომელსაც არ ჰყავდეს ქათამი ანდა სხვა შინაური ფრინველი და ეს გარემოება კი იმის მაჩვენებელია, რომ შინაურ ფრინველის ყოლა სასარგებლოა და საჭირო სოფლის მეურნეობისათვის.

სამწუხაროდ, როგორც გვატყობინებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, შინაურ ფრინველს გაჩენია გადამდები სენი—ხოლერა და მუსრს ავლებს მათ.

სამაზრო აღმასკომების და ექიმ-ვეტერინარების პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ფიცხელი ყურადღება მიაქციონ ფრინველების გადამდებ სენს და მის წინააღმდეგ მიიღონ სათანადო ზომები.

მივმართავ სამაზრო აღმასკომებს, ფრინველების ხოლერის გაჩენისთანავე ამა თუ იმ სოფელში, დაუყოვნებლივ აცნობონ ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარს, რომელიც თავის მხრივ მოვალეა რჩევა-დარიგება მისცეს ხალხს სენის საწინააღმდეგო ღონისძიებათა და ზომების შესახებ.

სამაზრო აღმასკომების და ექიმ-ვეტერინარების საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ ვაცხადებ, რომ ფრინველის ხოლერის გაჩენის დროს უნდა იქმნას გატარებული შემდეგი ზომები:

1. ყველა მოქალაქე ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს, როცა სენი გაუჩნდება მის შინაურ ფრინველს.
2. აიკრძალოს დაავადებულ სოფლიდან როგორც ცოცხალ, ისე დაკლულ ფრინვლის გატანა.
3. გამოცალკევდეს საღი ფრინველი ავადმყოფ ფრინველებიდან და მოთავსდეს ახალ დასუფთავებულ საქათმეში.
4. მომკვდარი ფრინველი დაიმარხოს მიწაში ერთ არშინ ნახევრის სიღრმეზედ.

დაიგავოს საქათმე იატაკის ზედაპირის ერთ ვერშოკზე აფხეკით და მოხვეტილი ნაგავი და ფრინველის განავალი ჩაიფლას ორმოში ერთ არშინ ნახევარ სიღრმეზედ.

6. საბუდრების თივა-ჩალა დაიწვას ცეცხლზედ.
7. დაგვილ-დასუფთავებულ საქათმის იატაკი მოირწყოს სამპროცენტიანი კრეოლინის ან ლიზოლის ხსნილით, ხოლო ფრინველის საჯდომი ხარიხები, საბუდრები და საქათმის კედლები—ნაცარ-ტუტით.

იატაკის მოსარწყავათ შეიძლება ხმარება წყალში გახსნილ კირისა (15 პროცენტიანი).

8. ჩამოთვლილ ზომების ცხოვრებაში გატარება შეადგენს ადგილობრივ აღმასკომის მოვალეობას.

გასაფრთხილებელი წინასწარი ღონისძიებანი:

1. ახლად ნაყიდი ფრინველი არ უნდა შეერიოს შინაურ ფრინველებს, არამედ უნდა მოთავსდეს ერთი კვირის განმავლობაში ცალკე სადგომში. ეს დრო საკმარისია იმის გასაგებად, ნაყიდი ფრინველი საღია თუ ავადმყოფი.
2. როცა მეზობლად გაჩნდება ფრინველებზედ გადამდები სენი, საჭიროა საღ ფრინველების სასმელ წყალში მიემატოს ერთპროცენტიანი ძარას (რკინის შაბიაბანი) ხსნილი, ან მარილის მჟავის ორ პროცენტიანი ხსნილი.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარის მოადგილე: ვ. კამდელაკი.

ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების გამგე: დ. ახმეტელი.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

21 ნოემბერი დილის 7 საათი

ტემპერატურა (ცელსით): ფოთი—10 გრადუსი, ბათომი—11 გრად., სამტრედია—8 გრ., ქუთაისი—11 გრ., აჯამეთი—5 გრ., ჭიათურა—0 გრ., წიფა—4 გრ., სურამი—5 გრ., ტფილისი—1 გრ., მუკუზანი—4 გრ., ერევანი—1 გრ., ბაქო—12 გრ.

ღრუბლიანობა: ყველგან გაწმენდილია.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთის მიმართულებით, ზომიერი. ქუთაისში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, წიფაში—აღმოსავლეთის, მსუბუქი. სურამში—სამხრეთის, ნელი. ბაქოში სამხრეთ-აღმოსავლეთის, ნელი, დანარჩენებში—ნელი ან სულ წყნარი.

ზღვის მდგომარეობა [illegible]: ფოთში, ბათომში და [illegible]—(ლენქორანი) დაწყნარებულია.

ამინდი საქართველოში:

მზიანი, მშრალი სიგრილე. აღმოსავლეთ საქართველოში ალაგ-ალაგ ყინვაც არის.

ტფილისი

22 ნოემბერი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 16 გრ.,

ღრუბლიანობა: მოწმენდილია.

ქარის ქროლა: აღმოსავლეთის, ძლიერ ნელი.

ამინდის ცვლილება: 23 ნოემბრისათვის დიდი ცვლილება არ არის მოსალოდნელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ანონიმურ წერილის ავტორს.

კომპ. ამიერ კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისია გთხოვთ გამოცხადდეთ შაბათს, 24 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათისათვის, თქვენი განცხადების გამო განმარტების მოსაცემად.

მისამართი (რტიშჩევის ქუჩა № 4 ოთახი 10).

ამიერ-კავკ. საოლქო საკონტროლო კომისია.

— **საქ კომ. პარტ. ტფ. ორგანიზ. ქალაქის რაიკომი** იუწყება, რომ ქვემოხსენებულმა ამხანაგებმა სურვილი განაცხადეს საქართველოს კომპარტიაში შემოსვლისა. იმ პირთ, ვისაც რაიმე მამხილებელი საბუთები აქვთ ხსენებულ ამხანაგების წინააღმდეგ, ვთხოვთ წარმოადგინონ საუბნო კომიტეტში (რუსთაველის პროსპექტი, 22). 1. ოგანჯანიანი სერგეი—ამიერ-კავკ. უნივერ. კურს. 2. დონსკოი აბდულა—ამიერ-კავკ. უნივერ. კურს. 3. ძიძიგური ლავრენტი—ამიერ-კავკ. უნივერ. კურს. 4. თათულოვი გიორგი—ინტელიგენტი სახელმ. პოლიტ. ინსტ. უჯრ. 5. ლობოდენკო სერგეი—ინტელიგენტი—სახ. პოლიტ. ინსტ უჯრ. 6. ნაკკი ალოის—მუშა „ტემზა"-ს უჯრ. 7. ჯიოშვილი ალექსანდრე—მუშა სახ. პოლიტ. ინსტიტ. 8, ჩარკვიანი ბესარიონი—მუშა სამხედრო საზღვაო კომის. სტამბის უჯრედ. 9. ვერბოვსკი იაკობ—მუშა სახალხო ბანკის უჯრ. 10. ბადამშინი კონსტანტინე—მუშა ცეცხლისმქრობელთა უჯრ. 11. მირიჯანაშვილი მარია—მუშა-ქალი ლენინის თამბ. ქარხ. უჯრ. 12. ტურსილაძე იოსები—მუშა მე-13 უჯრ. 13. მეჩითოვი კარაპეტ—მუშა სახალხო კავშირის უჯრ. 14. ნაზაბტიანი მიხეილ—მუშა მუშკოპის მე-13 უჯრ. 15. ჩხავლიძე გიორგი—მუშა მუშკოპის მე-2 ფურნის უჯრ. 16. ჯაფარიძე იოსები—მუშა მე 2 უჯრ. 17. გრიგორიანი ტიგრან—მუშა სახელმწიფო თეატრის უჯრ. 18. ბელოუსოვი ნიკიტა—მუშა მე-13 უჯრ. 19. პისკლოვი ზაქარია—მუშა ცეცხლისმქრობელთა უჯრ.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— **საქ. კომუნ. პარტ. ტფ. ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი** იწვევს ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, **ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დარბაზში** მე-4 უბნის ყველა სამრეწველოებისა და დაწესებულებათა **საშეფო კომისიების გაერთიანებულ თათბირს** უჯრედების მდივანთა თანადასწრებით.

საშეფო კომისიებს წინადადება ეძლევათ დაამზადონ თავისი მოღვაწეობის წერილობითი ანგარიში და მომავალი სამოქმედო გეგმა.

სავალდებულოა ყველა წევრების დასწრება, უჯრედების მდივანთა პირადი პასუხისმგებლობით.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— **საქართ. კომუნისტური ახალგ. კავშირის ტფ. ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტის ბიურო** წინადადებას აძლევს ყველა უჯრედების მდივნებს,—გარდა მუშათა ფაკულტეტისა, სახელმწიფო უნივერსიტეტისა, ამიერ-კავკასიის საგა კომის. სამხედრო სკოლებისა. კულტურ-ტეხნიკურ და პოლიტეხნიკურ სასწავლებლების შაბათს, 24 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, მოიწვიონ უჯრედების სხდომა, პოლიტცოდნის შესამოწმებლად (უჯრედების სხდომები ადგილობრივ მოიწვევა).

სხდომაზე სავალდებულოა გამოცხადება უჯრედების ყველა წევრებისა და კან დატებისა დაუგვიანებლად.

საქ. კომუნ. ახალგ. კავშირის ტფ. ორგ. მე-2 საუბნო კომ.
პასუხისმგებელი მდივანი გვანცალაძ

— შაბათს, 24 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, შესდგება პლენუმი საქ. კომ. პარ **ტფ. ორგანიზაციის ქალთა განყოფილებისა.**

დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია:

1. მუშაობა ახალგაზრდობის შორის.
2. მუშაობა ქალთა შორის სამხედრო ორგანიზაციებში.
3. პოლიტ-განათლების მუშაობა.
4. მიმდინარე საკითხები.

მოიწვევიან: საქ. კომ. პარტ. ცენტ. კომიტ. ქალთა განყოფილების გამგე, საუბნო კომიტეტების ქალთა განყოფილებების გამგენი, პოლიტ-სეკრეტარიატის წარმომადგენელი ამხ. დვორიაკოვი და საქ. კომ. ახალგ. კავშირის ტფ. კომიტეტის წარმომადგენელი.

ტფ. კომიტეტის ქალთა განყოფ. გამგის მოადგილე ს. თალაკვაძ

— კვირას, 25 ნოემბერს საღ. 6 საათ. მუსულმან პედაგოგთა წრეში მოხს 1) შახტანტინსკის—„მშობლიური ენის სწავლების მეთოდი", 2) სუბს ანკულოვის—„წრ უშაობანი", 3) გასან-ზადე—„ორფოგრაფია სკოლაში".

სახლის გამგე შიუკაშვილი.

— **საქ. კომ. პარტიის ტფ. ორგანიზაციის მე-2 სარაიონო კომიტ** იუწყება, რომ ქვემო-დასახელებულმა პირებმა განცხადება შეიტანეს კომუნისტურ ტიაში შესვლის შესახებ.

მე-2 სარაიონო კომიტეტი სთხოვს იმ ამხანაგებს და პირებს, რომლებსაც აქვთ იმე მამხილებელი საბუთები ქვემოდასახელებულ ამხანაგების შესახებ, წარმოადგინონ მასალა სარაიონო კომიტეტში (მიხეილის პროსპექტი, № 96) ამა ნოემბრის 31 რიცხ

1. სარქისოვი სერგეი—ფეხსაცმელის დამამზადებელი („ზაგოტოვშჩიკი");
2. ვერემეიჩოკოვი ივანე. საექიმო-სასანიტარო მუშაკთა კავშირის მუშა.
3. ვერდენკო ადოლფი—„ტრამოტზ-ი (მუშა.)
4. მურადიანი ხაჩატური—ფეხსაცმელის ხელოსანი.

მდივნის მაგიერი ნაზაროვი.

განცხადებანი

პარტიის ისტორიის კომისია ამ დღეებში გამოუშვებს გასასყიდათ ალბომს

„1917 წლამდის დაღუპულ რევოლიუციონერთ ხსოვნის"

სახელწოდებით, სადაც მოთავსებული იქნება 40—50 ღირსშესანიშნავ რევოლიუციონერების **სურათები და მათი მოკლე ბიოგრაფიები.** ალბომი მოითხოვეთ ყველა მეგაზეთეებთან და აგრეთვე რკინისგზის კებში, როგორც ტფილისში ისე პროვინციაში.

საქ. კომ. პარტ. ცეკას გამომცემლობა.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
სახელდებით [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის [illegible]
[illegible] ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო [illegible] ექ. სვიმონ უიფშიძის
[illegible] ტფილისი, გოლოვინის ქ. № 20. (126-25

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა
ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 2
78 25

დაიკარგა კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 337 ხუბა აკირავას სახელობაზე. ლოს გაუქმებულად. 177-

დაიკარგა მოწმობა № 2173 მოცემული სამხედრო-სასპორტ ლისაგან, სკოლის დაშლის გამო შტატ გარეშე ვების შესახებ,—ვარვარა ანდრიას ასულის ორლენიძის სახელზე თვალოს გაუქმებულად. 176-

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ახ. სენაკის იდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. ვერა დავითაი 176

„ზარია ვოსტოკას" სტამბა საშა წულუკიძის ქ. № 4.